ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 29 – 30 ივნისი, 2019

№152 (8106)

ფასი: 60 თეთრი

დაპირისპირება გორის სასამართლოში

გვ.7

7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული დედის საქმის განხილვა დაიწყო

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ვინ და რატომ უჩალიჩებდა გახარიას კონტრაქციას

გვ.3

მთავრობა გადადგომის ნაცვლად, გადმოდგა

„დიპლომატიური კორპუსის ჩარევა რომ არა, ოპოზიციის ლიდერების ნაწილი დაკავებული იქნებოდა უკვე“

გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „ამხანაგმა ივანიშვილმა ამხანაგ პუტინს უპატაკა – ვინც გააპროტესტებს ოკუპაციას, დავთხრი თვალებს და დავასისხლიანებ“

გიორგი გუგავა: „დარბევის ბრძანება ივანიშვილმა გასცა, ეს გახარიას პასუხისმგებლობას ამძიმებს“

გვ.4

„რატომ შეიყვანეს კერძო პირ ივანიშვილის რეზიდენციაში სპეცრაზმი? ერთ კუთხეში სპეცრაზმი უნდა იყოს ჩასაფრებული, მეორეში ზებრა?!“

გვ.6

ვახტანგ მაისაია: „გავრილოვი არის პროფესიონალი მზვერავი“

„სპეცსამსახურებმა უნდა გაარკვიონ, ვინ შემოუშვა ის საქართველოში“

ნუკრი ქანთარია: „ახლა გახარიას გადადგომა არ შეიძლება!“

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „პარლამენტი, რომელიც მელიას იმუნიტეტს უჩერებდა, 1937 წლის საბჭოთა ხელისუფლებას ჰგავდა“

გვ.5

„საპროტესტო აქცია თბილისში მისასალმებელია“

პაატა ზაქარეიშვილი: „პროცესებს დღეს ნაციონალები მართავენ“

გვ.5

სამართალი გვ.7

პროკურატურა მელიასთვის გირაოს შეფარდებას გაასაჩივრებს

გასაჩივრებას მელიას ადვოკატიც აპირებს

ხაშურში თიბისი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს

სტრასბურის სასამართლომ ყინწვისის სპეცოპერაციის საქმეზე ევროკონვენციის დარღვევები დაადგინა

ISSN 1987-9385

2 პარლამენტმა ახალი საბაჟო კოდექსი დაამტკიცა

3 ესტონელი ინვესტორის რჩევა: „მთავრობამ შეამციროს ბიუროკრატია და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები გადასცეს კერძო სექტორს“

6 ვის და რატომ გადასცეს დროებით თიბისის აქციების 8% მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ?

7 ცოტნე დადიანის ქუჩაზე „ავერსის“ აფთიაქი დააყაჩაღეს

„დიპლომატიური კორპუსის ჩარევა რომ არა, ოპოზიციის ლიდერების ნაწილი დაკავებული იქნებოდა უკვე“

ლევან ხაბეიშვილი: „ამხანაგმა ივანიშვილმა ამხანაგ პუტინს უპატაკა – ვინც გააპროტესტებს ოკუპაციას, დავთხრი თვალებს და დავასისხლიანებ“

შორენა მარსაგიშვილი

რა დაუმტკიცა ივანიშვილმა პუტინს 20 ივნისის დარბევით, რამდენი მონა ზის პარლამენტში, ვინ გადააფიქრებინა ხელისუფლებას ოპოზიციის ლიდერების დაჭერა, რა ტრიუკი ჩაატარა კალაძემ აქციების მიმდინარეობის დროს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი **ლევან ხაბეიშვილი** ესაუბრება.

– რამდენიმე დღის წინ თქვით, რომ გავრილოვი, რომლის გამოც საქართველოში ძალიან მძიმე პროცესები დაიწყო, თბილისს რამდენიმე წლის წინაც სტუმრობდა. მაშინ რა ჯანდაბა უნდოდა რუს კომუნისტს აქ?

– შეიძლება ეს კაცი სხვა დროსაც იყო ჩამოსული საქართველოში. მისი ვიზიტი მე 2013 წელს მახსოვს. ის მაშინაც „ოცნების“ მოპატიჟებული იყო. ეს ფაქტი რამდენიმე ახალგაზრდამ გავაპროტესტეთ. ჩვენთან ერთად იყო ირაკლი ჩხვირკიაც, რომელიც დააკავეს. მას ერთი ღამე გაატარებინეს წინასწარი მოთავსების იზოლატორში. შემდეგ ფულადი ჯარიმა დააკისრეს იმის გამო, რომ პუტინს და გავრილოვს აგინებდა.

იმ დროს ხელისუფლებაში „ოცნება“ კი იყო მოსული, მაგრამ პრეზიდენტი ისევ მიხეილ სააკაშვილი იყო. გავრილოვის საქართველოში ჩამოსვლა მანაც გააპროტესტა. ის 6 წლის წინ ამბობდა, რომ დაუშვებელია საქართველოში იმ ადამიანის ჩამოსვლა, რომელმაც საქართველოს ოკუპაციას დაუჭირა მხარი.

ეს ამბავი მაშინ მოსახლეობას იმიტომ გამორჩა, რომ საქართველოში სხვა რეალობა იყო.

– ნამდვილად სხვა რეალობა იყო, ერის დიდი ნაწილი „ოცნებას“ ყველაფერზე ტაშს უკრავდა.

– ამდენი უკმაყოფილება რომ არ ყოფილიყო დაგროვილი, შეიძლებოდა გავრილოვის ვიზიტს ასე არ გადაერია ხალხი. უკმაყოფილება კი მართლა ბევრი დაგროვდა. გავრილოვამდე საქართველოს მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი ესტუმრა, რომელიც ასევე ღიად უჭერდა მხარს საქართველოს ოკუპაციას.

– ლუჟკოვის მერე გროზნოს მერი ჩამოვიდა აქ, რომელიც ასევე მხარს უჭერს საქართველოს ოკუპაციას.

– ბევრის ვიზიტის შესახებ შეიძლება ვერც გავიგეთ. რასაც ვიგებდით, ვაპროტესტებდით. პუტინის და რუსეთის გინებისთვის ჩვენი ხელისუფლება ხშირად იჭერდა და აჯარიმებდა ქართველ ახალგაზრდებს.

ახლა საქართველოს ოკუპაციის მხარდამჭერი პირდაპირ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასვეს. ამაზე იყო სრულიად სამართლიანი პროტესტი და ამის გამო ქართველ ახალგაზრდებს თვალები დასთხარეს.

წინა ხელისუფლება თავად მიმართავდა ანტიოკუპანტურ ღონისძიებებს, ესენი ოკუპანტებს სპიკერის სავარძელს უთავისუფლებენ. აშკარაა, რომ ამ ხელისუფლებებს სხვადასხვა ღირებულებები აქვთ.

სანამ ქართველ ახალგაზრდებს თვალები არ დასთხარეს, ირაკლი კობახიძე არ გადააყენეს. ახლა მათ პარლამენტის შტურმით აღების მცდელობას აბრალებენ. პარლამენტი ამ აქციამდე იყო შტურმით აღებული. საქართველოს საკანონმდებლო ორგანო „ოცნებამ“ გავრილოვს ააღებინა შტურმით. დანარჩენი ყველაფერი არის ბლა-ბლა-ბლა.

მინდა თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ იმით, რაც ახლა საქართველოში ხდება, კრემლი სრულ პანიკაშია.

– კრემლი რატომ არის პანიკაში?

– „ოცნება“ ხომ რეალურად რუსეთზე მომუშავე ხელისუფლებაა. მათ არ ეგონათ, თუ ქართველი ხალხი მათ მსახურ ხელისუფლებას ასე დაუპირისპირდებოდა.

მოსკოვმა მოითხოვა, დასაჯეთ ხალხიო და 20 ივნისის ღამეს კარგად ნახეთ, თუ როგორ დასაჯეს ქართველები.

დიპლომატიური კორპუსის ჩარევა რომ არა, ოპოზიციის ლიდერების ნაწილი დაკავებული იქნებოდა უკვე. ნიკა მელიას როგორი სასამართლო მოუწყვეს, ეს ყველამ პირდაპირ ეთერში ვიხილეთ.

21-ე საუკუნეში ოპოზიციისთვის შტურმის მოწყობის დაბრალება, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. ტექნოლოგიების ეპოქაში ყველას ჰქონდა იმის საშუალება, რომ ამ მოვლენებისთვის პირდაპირ ეთერში ედევნებინა თვალი.

ნორმალური და მართლა ეროვნული მთავრობა რომ გვყოლოდა, გამოვიდოდა და ხალხს, რომელიც ამდენი ხანია, ოკუპაციას აპროტესტებს, პარლამენტთან ერთად კანცელარიის კარს გაუღებდა. ეტყოდა, მოდით, ერთად გავაპროტესტოთ ოკუპაციაო.

ამ მოვლენების შემდეგ პუტინმა გადაწყვიტა, საქართველოში მისი ერთგული ხალხი დაეთვალა. პარლამენტში ასეთი 93 ნაძირალა დათვალეს. ასეთი შეფასებებისთვის ბოდიში, მაგრამ ყველაფერს უნდა დაერქვას სახელი. რაც მათ მელიას მიმართ იკადრეს, სხვა შეფასება არ აქვს.

დეპუტატების გარდა, ივანიშვილმა პუტინს მთავრობაც ლანგარზე მიართვა. ეს მთავრობა მთელი ერთი კვირა დამალული ჰყავდათ, ამ დღეებში გამოიყვანეს და ჟანდარმი გახარიასთვის მადლობები ახდევინეს.

– მადლობების გარდა, მთავრობამ უცნაური განცხადებებიც გააკეთა. მაგალითად, რაც მოხდა, ყველაფერი სააკაშვილის ბრალიაო.

– მთავრობის წევრებმა ისეთები თქვეს, მათსა და ივანიშვილის ზებრასა და პინგვინს შორის ყოველგვარი ზღვარი წაშალა. პინგვინს და ზებრას ლაპარაკი რომ შეეძლოთ, იმას ნამდვილად არ იტყოდნენ, რაც ბახტაძემ და გახარიამ იბოდიალეს.

ამათ ბოდიალს სააკაშვილი კარგად გამოეხმაურა და თქვა, დონბასიდან მე ვესროდი მომიტინგეებსო. კალენდარზე 2019 წელია, მიშა 2013 წელს წავიდა აქედან და ყველაფერი ისევ მისი ბრალია.

ამ განცხადებების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მთავრობა აღარ გვყავს, ესენი მინისტრები კი არა, ივანიშვილის მონები არიან. იგივე შეიძლება ითქვას პარლამენტის წევრებზეც.

– შეიძლება მონა იყო, მაგრამ ზოგჯერ მონებსაც უჩნდებათ რაღაცებზე პროტესტი.

– მონებსაც გააჩნია. ივანიშვილმა მონებიც სხვადასხვა ნიშნით შეარჩია. მას ორი ტიპის მონები ყავს – უღირსები და კორუმპირებულები.

ასეთი ხალხი სად უნდა წავიდეს. მოდით, ავიღოთ ივლიანე წულაია, პარლამენტის წევრს მსხვილი სამშენებლო კომპანია აქვს. როგორ არ უნდა მიეცა მას ხმა ნიკა მელიას წინააღმდეგ, როცა ამ დღეებში მას კალაძემ დიდი საჩუქარი გაუკეთა.

– რა საჩუქარი?

– მაშინ, როცა ჩვენ აქციებს ვმართავდით და ხალხს თვალებს თხრიდნენ, თბილისის საკრებულოში მალულად ჩაატარეს სხდომა. კახა კალაძემ წულაიას ლარად აჩუქა მილიონების ქონება ვარკეთილის მესამე მასივში.

ხალხი, რომელიც თავად არის უღირსი და კორუმპირებული, ივანიშვილის წინააღმდეგ ვერანაირად ვერ წავა. ამათ დასაჭერად აქვთ საქმე და რა გასაკვირია, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერზე წავლენ.

ერთადერთი, ვისაც ღირსება აქვს შერჩენილი, ესაა რომან კაკულია. მან ღიად თქვა, რომ კოლეგას იმუნიტეტს არ მოუხსნის. დანარჩენებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღბები და ხალხს თავიანთი ნამდვილი სახე აჩვენეს.

მინდა მივმართო თქვენს მკითხველს და ვუთხრა, რომ არ შეიძლება, 2007 წლის 7 ნოემბრით გაამართლო 2019 წლის 20 ივნისი. სირცხვილია იმის თქმა, რომ 7 ნოემბერი ძალადობა იყო და 20 ივნისი – არა.

ესეც არ ყოფნით და ახლა იმას გვაბრალებენ. რომ შტურმით ვიღებდით პარლამენტს. ამასთან დაკავშირებით ერთ კითხვას დავსვამ, თუ ჩვენ პარლამენტში შტურმით ვაპირებდით შეჭრას, ის ტყვიები ჩვენ რატომ არ გვესროლეს? უფრო ახლოს არ ვიყავით? რატომ ესროლეს მოშორებით მდგარ ახალგაზრდებს.

ჩვენ თუ ვიყავით დამნაშავეები, ახალგაზრდებს რატომ დათხარეს თვალები, რატომ დაუხეთქეს თავები, რატომ სდიეს სახლებამდე და ბორკილებდადებულებს რატომ აფურთხებდნენ სახეში.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს შეგნებულად გააკეთეს ასე. ეს იყო არა აქციის დაშლა, არამედ სადამსჯელო ღონისძიება რუსეთის საამებლად. ამხანაგმა ივანიშვილმა ამხანაგ პუტინს უპატაკა – ვინც გააპროტესტებს ოკუპაციას, დავთხრი თვალებს და დავასისხლიანებ., ხოლო ოპოზიციის ლიდერებს ჩავყრი ციხეში.

ამ აქციაზე დაშავებული ერთ-ერთი ადამიანი სიკვდილს ებრძვის და შეიძლება ვერც კი გადარჩეს. ამაზე პასუხისმგებლობას არავინ არ ილებს. სამაგიეროდ, გაიძახიან, პასუხისმგებელია მიშაო. მიშამ დათხარა ახალგაზრდებს თვალები, თქვე ოხრებო? მართლა ყველაფერს აქვს საზღვარი.

– ესენი საზღვრებს კარგა ხანია ველარ გრძნობენ. ამხელა უკმაყოფილების ფონზე გახარიას მხარდასაჭერად კონტრაქციების მოწყობას აპირებენ.

– ასეთ კონტრაქციებს უწყობდა ხალხს ასლან აბაშიძე და ედუარდ შევარდნაძე. მათსა და ივანიშვილს შორის არანაირი განსხვავება არ არის.

შევარდნაძის ხელისუფლება კი იყო კორუმპირებული, მაგრამ იქ რაღაც ღირსება კიდევ ჰქონდათ. ესენი დამატებით არაკაცებიც არიან. სხვა რა შეფასება უნდა მივცე იმას, რაც ნიკა მელიას გაუკეთეს.

– იმუნიტეტის მოხსნით მელიას კი არა, საკუთარ თავს გაუკეთეს ცუდი საქმე.

– რა თქმა უნდა. ამით ნიკას არაფერი დაკლებია. მელია თავისუფალი ადამიანია. ესენი კიდევ ისტორიაში შევლენ, როგორც ისტორიული ნაძირლები. საინტერესოა, რას ეტყვიან თავის შვილებს და შვილიშვილებს. როგორ აუხსნიან, რომ ის ხალხი დაარბიეს, ვინც რუსულ ოკუპაციას აპროტესტებდა.

დასკვნა ერთია – ესენი არიან საქართველოს სახელმწიფოს მტრები!

პარლამენტმა ახალი საბაჟო კოდექსი დაამტკიცა

პარლამენტმა ახალი საბაჟო კოდექსი დაამტკიცა. „საქართველოს საბაჟო კოდექსი“ მესამე მოსმენით 80 ხმით, ერთხმად მიიღეს.

საბაჟო კოდექსის პროექტით, უქმდება რეექსპორტის სასაქონლო ოპერაცია და რეექსპორტის განხილვა მოხდება, როგორც საქონლის მარტივი დამუშავება. აღარ იქნება საჭირო რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა და შესაბამისი საფასურის გადახდა. მარტივდება საქონლის დროებით შენახვის დასრულება და თავისუფალი ზონის პროცედურის დასრულება.

ახალი საბაჟო კოდექსით შესაძლებელია იმპორტის გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა. პროექტის მიხედვით, იმპორტიორი სრულად დაიბრუნებს მსუბუქ ავტომობილსა და მოტოციკლზე გადახდილ იმპორტის გადასახადის თანხას, თუ ის იმპორტიდან 90 დღის განმავლობაში გავა ექსპორტზე. შესაბამისად, საქართველოში გადახდილი იმპორტის გადასახადი არ აისახება სატრანსპორტო საშუალების სარეალიზაციო ფასში, რაც იმპორტიორს გაუადვილებს საზღვარგარეთ მის რეალიზაციას.

დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელი ხდება სასაქონლო პარტიისათვის იმპორტის გადასახადი გაანგარიშდეს დეკლარაციაში შემავალი საქონლის იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის საფუძველზე, რაც შეამცირებს საბაჟო ადმინისტრირების დანახარჯებს.

გარდა ამისა, ახალი საბაჟო კოდექსით, ბიზნესს ეძლევა შესაძლებლობა, გადამუშავებული პროდუქტის იმპორტის შემთხვევაში, მისი სურვილით, იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშოს ან გადამუშავებული პროდუქტისათვის დადგენილი განაკვეთების ან ნედლეულისათვის დადგენილი განაკვეთების შესაბამისად.

ახალი საბაჟო კოდექსით ჩნდება შესაძლებლობა, პირმა საბაჟო დეკლარირება მოახდინოს საკუთარ ჩანაწერებში მონაცემების შეყვანით, რაც გულისხმობს დეკლარირების ავტომატური სისტემის დანერგვას საბაჟო სფეროში, რაც უზრუნველყოფს დეკლარანტის ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებას.

ახალი საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარანტიის ახალი სახის - თავდებობის გამოყენების შესაძლებლობას.

ამასთან, საბაჟო კანონმდებლობაში შენარჩუნდება ყველა ის ცვლილება, რაც რეფორმების შედეგად განხორციელდა საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების ერთიანი/გამარტივებული ადმინისტრირების მიმართულებით, მათ შორისაა: გადასახადის გადამხდელის ერთიანი ბარათი (საგადასახადო და საბაჟო), „სივრცეში“ და „საზღვარზე“ არსებული ზედმეტობის ურთიერთჩათვლა, ერთიანის სახაზინო კოდი საგადასახადო/საბაჟო ვალდებულების შესასრულებლად, გასაჩივრებისა და საგადასახადო შეთანხმების ერთიანი სისტემა.

IPN.GE

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვინ და რატომ უჩალიჩებდა გახარიას კონტრაქციას

მთავრობა გადადგომის ნაცვლად, გადმოდგა

შორენა მარსაგიშვილი

გავრცელებული ინფორმაციით, 28 ივნისს საქართველოს მთავრობის მეთაურს თანამდებობა უნდა დაეტოვებინა და მას თან სხვა მინისტრებიც უნდა მიჰყოლოდნენ. მედიას ამის შესახებ ინფორმაცია სახელისუფლებო კულუარებში მიაწოდეს.

მმართველ პარტიაში ამბობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ მამუკა ბახტაძის მიერ 27 ივნისს გაკეთებულმა განცხადებებმა გადარია. გადარეულმა ცხელ გულზე მისი გადადგომა მოითხოვა, მაგრამ მერე წყენამ გადაუარა, გარემოცვამაც მისცა რჩევა და სამთავრობო კარუსელის დატრიალება დროებით გადაიდო.

გადასადგომად განწირული მთავრობა 28 ივნისს მთავრობის სხდომაზე გადმოდგა და ქვეყანას მორიგი მარგალიტები მოეფინა. თავი ამჯერადაც პრემიერმა მამუკა ბახტაძემ გამოიჩინა. მას არც შს მინისტრი გიორგი გახარია ჩამორჩა. რომელიც ამბობს, რომ გადადგომა პრობლემა არაა, მაგრამ არ გადავდგებიო.

გადადგომას რომ არ აპირებდა, ეს ისედაც ვიცოდით, მაგრამ „ოცნების“ გარშემო გამოჩნდა ხალხი, რომელმაც დაიჩემა, გინდა თუ არა, კონტრაქცია უნდა მოვაწყოთ, რომ გახარიამ პოსტი არ დატოვოსო.

ამ მოწოდებამ სოციალურ ქსელში ისტერიული სახე მიიღო და რამდენიმე აქციაც დაანონსდა. ამასთან დაკავშირებით „ოცნებამ“ და გახარიამ ცალ-ცალკე აკეთეს განცხადებები.

შს მინისტრი მისი მხარდამჭერი აქციის ორგანიზატორებს მიმართავს. მისი თქმით, კონტრაქციის შესახებ მედიისგან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გაიგო.

– კონტრაქციის შესახებ პირველად მესმის. გეთანხმებით, რომ მსგავსი ღონისძიებები არ არის საჭირო. მინდა თითოეულ ადამიანს მადლობა ვუთხრა და ვთხოვო, როდესაც მოქალაქეებთან ერთად ვცდილობთ დავწიოთ ტემპერატურა, ვებრძოლოთ პოლარიზაციას, მსგავსი აქციები მხოლოდ ხელს გვიშლის, რა მოტივითაც არ უნდა ტარდებოდეს, მინდა გულწრფელად ვთხოვო და დავარწმუნო, რომ მსგავსი აქციები არ არის საჭირო. მინდა ვთხოვო თითოეულ მოქალაქეს, ვინც მსგავს ღონისძიებას აორგანიზებს, გადაიფიქრონ, – განაცხადა გახარიამ.

კონტრაქციის წინააღმდეგ გამოვიდა „ქართული ოცნებაც“. პარტია მიიჩნევს, რომ ასეთი ღონისძიება დამატებით დაძაბულობას შემოიტანს.

– გვსურს მადლობა გადავუხადოთ ჩვენს ყველა მხარდამჭერს და გულშემატკივარს, თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ხედავს და რეალურად აფასებს შექმნილ მდგომარეობას, სახელმწიფო ინსტიტუტებზე მიტანილი შეტევების რეალურ მიზნებს.

განვითარებული მოვლენების ფონზე, საზოგადოებაში ხშირად ისმის კონტრაქციის ორგანიზების მოწოდებები.

ხაზგასმით ვაცხადებთ, საქართველოში დაცულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება. ჩვენ პატივს ვცემთ თითოეული ჩვენი მოქალაქის პოზიციას და მშვიდობიანი პროტესტის უფლებას. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ჩვენი მოქალაქეების ეს უფლება იყო, არის და იქნება დაცული.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ასევე განუხრელად არის და იქნება დაცული ქვეყნის კონსტიტუცია და სახელმწიფო ინსტიტუტები ყოველგვარი აგრესიისა და ძალადობისგან. სახელმწიფო იცავს როგორც მოქალაქეებს, მათი გამოხატვის თავისუფლებას, ასევე კონსტიტუციას და საზოგადოებრივ მართლწესრიგს.

არსებულ ვითარებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვთხოვოთ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც განიცდიან და ემოციურად რეაგირებენ უკანასკნელ დღეებში შექმნილ სურათზე, თავი შეიკავონ ყოველგვარი კონტრაქციისგან და იმგვარი ქმედებებისგან, რომელმაც შესაძლოა დამატებითი დაძაბულობა შემოიტანოს და საფუძველი შეუქმნას დესტრუქციულ ძალებს პროვოკაციებისა და დაძაბულობის ინსპირაციისთვის, – ვკითხულობთ „ქართული ოცნების“ განცხადებაში.

მმართველი პარტიის კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ ვიღაცებმა ეს კონტრაქცია სინამდვილეში გახარიას საწინააღმდეგოდ დაგეგმეს. კონტრაქციას დაძაბულობა მოჰყვებოდა და ისედაც 20 ივნისის ჯალათად მონათლული გახარია კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ისე, ამ აქციის მოწყობაზე 21 ივნისიდან მიდის საუბარი და შს მინისტრს ამის შესახებ მხოლოდ 28 ივნისს არ უნდა გაეგო.

შს მინისტრს ავადსახსენებელი სერგეი გავრილოვის ბოლო განცხადების კომენტირებამაც მოუწია. რუსმა კომუნისტმა, რომელიც კინაღამ სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი გახდა, 28 ივნისს განაცხადა, რომ საქართველოში შემოდგომაზე წმინდა ადგილების მოსალოცად აპირებს ჩამოსვლას.

გახარია პირობას დებს, რომ რუსეთის დუმის დეპუტატს, სერგეი გავრილოვს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობას გეგმავს, საქართველოში არ შემოუშვებს.

– არ შემოვუშვებთ. საერთოდ გავრილოვი ახლა დღეს არ მაინტერესებს, არის მეათეხარისხოვანი, – ამბობს მინისტრი.

მთავრობის მეთაურმა კი კვლავ შტურმზე ილაპარაკა. ამტკიცებს, რომ 20 ივნისის ღამეს პარლამენტის შენობაზე დაიწყო შტურმი. მისი თქმით, ასეთ დროს შს მინისტრი ვალდებული იყო, ძალა გამოეყენებინა.

– ეს სიტუაცია იყო კრიზისული, მაგრამ კრიზისი და კატასტროფა სახელმწიფოსთვის იქნებოდა ის, რომ მომხდარიყო მათ მიერ ჩაფიქრებული სცენარის რეალიზაცია, რომ ქვეყანა გაეხვიათ ისეთ ქაოსში, როგორიც საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ორჯერ გვქონდა, რომელმაც ისეთი ტკივილი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოებრიობას, რომ დღემდე მისი შედეგების მნახველი ვართ თითოეული ჩვენგანი. ეს არის კონკრეტული მოცემულობა და კონკრეტული შეფასება.

მე კითხვა მაქვს თქვენთან, რა უნდა გაეკეთებინა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს და კონკრეტულად შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელია კონსტიტუციის დაცვაზე, თქვენ ხომ საქართველოს მოქალაქე ხართ, რა უნდა გაეკეთებინა? ის, რაც გააკეთეს ადრე? რომელმაც გამოიწვია სრული კოლაფსი. თქვენი პასუხიც არის არა. ესე იგი მათ უნდა დაეცვათ კონსტიტუცია, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაური მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ ძალის ლეგიტიმაციაზე კითხვის ნიშნები არ არსებობს.

მამუკა ბახტაძის თქმითვე, საქართველოს მოსახლეობამ დაინახა, რომ მოქალაქეების სრულიად სამართლიანი და გულწრფელი პროტესტი, რომლის მიმართაც მთავრობა სოლიდარულია, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიერ იქნა გამოყენებული პროვოკაციული მიზნებისთვის.

ბევრი კითხვა ჩნდება იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ გადადგა ირაკლი კობახიძე 20 ივნისს. ბევრი ფიქრობს, რომ მისი გადადგომით დაძაბულობა მოიხსნებოდა.

მამუკა ბახტაძე ამბობს, რომ ირაკლი კობახიძეს 20 ივნისსვე უნდოდა გადადგომა, მაგრამ იმის გამო ვერ გააკეთა ეს, რომ საზღვარგარეთ იყო.

პარლამენტის ნასპიკერალი იმ დღეს მართლაც ბაქოში იყო და თავისუფლად შეეძლო ვიზიტის შეწყვეტა. მან არც ვიზიტი შეწყვიტა და გადადგომაზეც უარი განაცხადა. 20 ივნისს ტვ „იმედის“ ეთერში პირდაპირი ჩართვისას განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებდა. ეს განცხადება გვიან საღამოს გააკეთა.

მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ ის არც 21 ივნისს აპირებდა გადადგომას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა თავზე დაამხო ყველაფერი, წასვლა იკადა.

ამ დღეებში ხელისუფლება ბევრს მუშაობდა ნიკა მელიას დაჭერაზე. ერთმა ფეისბუქმომხმარებელმა ამაზე დაწერა, მელიას დაჭერას ჯობდა, ლარი დაგეჭირათო.

ლარი მართლა მაგრად გაიქცა და მამუკა ბახტაძეს თუ ჰკითხავს კაცი, ამაში წვლილი ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმაც შეიტანა. ამ მოვლენებს აბრალებს იმას, რაც ეკონომიკურ სექტორში ხდება.

– რა თქმა უნდა, ჩვენი ვალდებულებაა ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტად ვიყოთ ორიენტირებულები კონკრეტულ შედეგებზე. მე 27 ივნისს განვაცხადე, რომ ასეთ პირობებში ჩვენ კიდევ უფრო აქტიურ კონსულტაციაზე ვართ გადასული კერძო სექტორთან. დღესაც მათ შორის, ეკონომიკის მინისტრი წარმოადგენს შეჯერებულ წინადადებებს, რომელიც კერძო სექტორისაგან მივიღეთ.

მე განსაკუთრებული აქცენტი მინდა ტურისტულ სექტორზე გავაკეთო. ჩვენ პარალელურად გვაქვს შეხვედრები და რამდენიმე დღეში გაიმართება შეხვედრა საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან, რომ საბოლოო ჯამში ჩვენ შევკრათ ისეთი პორტფელი ჩვენი ინიციატივების და მხარდაჭერის, რომ შევძლოთ მოვახდინოთ მინიმიზირება ამ ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევის.

როდესაც ჩვენ ტურისტულ სექტორზე ვსაუბრობთ, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სექტორი საქართველოში და, რაც ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის არის ინკლუზიური და მასში ძალიან ბევრი ადამიანია დასაქმებული.

აქედან გამომდინარე, მე ძალიან მძაფრი ვარ იმ შეფასებაში, რომ საოცრად უპასუხისმგებლო განცხადებები მოვისმინე მე უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებისგან, – აღნიშნა პოსტზე დარჩენილმა პრემიერმა.

ესტონელი ინვესტორის რჩევა: „მთავრობამ შეამციროს ბიუროკრატია და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები გადასცეს კერძო სექტორს“

ოლეგ ოსინოვსკი, „თბილისი Hills Golf & Residences“ -ს მთავარი ესტონელი ინვესტორი „კომერსანტთან“ საუბარში ქვეყანაში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე საუბრობს. ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით კი სახელმწიფოს კონკრეტული რჩევებითაც მიმართავს:

მისი თქმით, ბიზნესგარემოს განვითარების მთავარი ფაქტორი სახელმწიფოს მხრიდან აქტივების კერძო სექტორისთვის გადაცემაშია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაზარზე იკარგება ჯანსაღი კონკურენცია და დარგი ნადგურდება, რისი მაგალითიც უკვე არაერთია.

– ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აქტივები კერძო სექტორს გადასცეს და გავიდეს ამ სფეროდან. ეს იქნება ჩემი მთავარი რეკომენდაციაც და რჩევაც, რადგან თუ რომელიმე სექტორში ოპერირებს სახელმწიფო, მაგალითად, რკინიგზაში, ამ მიმართულებით აუცილებლად შემცირდება ინვესტიციები. ასეთ დროს ბაზარი ინვესტორებისთვის დახურულია, რადგან, როგორც წესი, სახელმწიფოს შეუძლია დემპინგური ფასით შემოსვლა ან კანონის მორგება საკუთარ ინტერესებზე. ამიტომ, თუ ხელისუფლებას მეტი უცხოური ინვესტიცია სჭირდება, ეს უნდა გაითვალისწინოს. აღნიშნულის პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობა, მართლმსაჯულება, დაბალი პროცენტული მაჩვენებელი საბანკო სექტორში, პოლიტიკური სტაბილურობა, კომუნიკაცია ინვესტორთან... – განმარტავს ინვესტორი.

ხელისუფლების მხრიდან ინვესტიციის განხორციელებას ოლეგ ოსინოვსკი გამართლებულად მხოლოდ ეკონომიკურად წამგებიან პერიოდში მიიჩნევს. მისი თქმით, როდესაც ქვეყანას უჭირს და შემცირებულია ეკონომიკური ზრდა, ასეთ დროს მთავრობას შეუძლია პროცესებში ჩართვა.

– ევროპაში სახელმწიფო ინვესტიციას ახორციელებს მხოლოდ ცუდ პერიოდში, როდესაც კონკრეტულ ქვეყანას ეკონომიკური პრობლემები აქვს. სხვა შემთხვევაში კი აგროვებს რეზერვებს და იხდის ვალებს. საქართველოშიც ასე უნდა იყოს თუ ინვესტიციის ზრდა გვინდა. ახლა აქ ის პერიოდია, რომ სახელმწიფომ ადგილი ბიზნესს უნდა დაუთმოს.

საქართველოს კიდევ ერთ მოუგვარებელ პრობლემად ოლეგ ოსინოვსკის ბიუროკრატია მიაჩნია. ეს გამოწვევა ბევრ ქვეყანაშია, თუმცა მისი მოგვარების გზები დიდი ხანია რაც არსებობს და დიდი ხანია ევროპის ქვეყნებში დანერგილია.

– ეს პრობლემა ბევრგანაა, მაგრამ მაგალითად, რიგ ქვეყნებში შემუშავებულია კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია, ყოველწლიურად საჯარო მოხელეთა რაოდენობა შეამციროს. ყველამ ვიცით, კონკრეტული საქმის გაკეთებისთვის ორგანიზაციაში შეიძლება გაბერილი შტატები იყოს და საბოლოოდ მარტივი გადაწყვეტილების მიღებას თვეები დასჭირდეს. ძალიან აზიანებს ეს ბიზნესის განვითარებას. ევროპის მაგალითი შეიძლება საქართველოშიც დაინერგოს, მაგალითად, 5 %-იანი შემცირება ყოველ წელს. მსგავსი მიდგომა ბიუროკრატიის ზრდის პროცესს მაინც შეანელებს და გადაწყვეტილებების მიღებაც დროში აღარ გაჭიანურდება.

კითხვაზე, რა სმენია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალ მინისტრ ნათია თურნავაზე და როგორც ინვესტორი, რას ურჩევდა კონკრეტულად მას - ოსინოვსკი მხოლოდ ერთ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას:

– ნათიას პირადად ვიცნობ და მგონია, რომ მისი დანიშვნა ეკონომიკის მინისტრის პოსტზე, კარგი არჩევანია. დეტალურად ესმის სხვადასხვა სფერო და ეს კარგია. ერთადერთი, რასაც აღვნიშნავდი, რამდენად შესაძლებელია ეს ქართულ პოლიტიკაში არ ვიცი, მაგრამ მაინც, კარგი იქნება თუ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად მიიღებს. არ აჰყვეს სხვის მითითებებს და იყოს თავისუფალი. საკუთარი ნებით იმოქმედოს და, რაც მთავარია, გაითვალისწინოს ბიზნესისთვის უმთავრესი - სახელმწიფოს მიერ აქტივების გადაცემის საკითხი.

ოლეგ ოსინოვსკი უკვე 10 წელია, რაც საქართველოში საქმიანობს და ინვესტიციას ახორციელებს. Tbilisi Hills Golf & Residences-ის გარდა, იგი ოპერირებს რკინიგზის სფეროში (Skinest Rail) და ამ მიმართულებით რამდენიმე მსხვილი პროექტიც აქვს განხორციელებული. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, უახლოეს მომავალში საქართველოში საკუთარი ბიზნესსაქმიანობის გაფართოებას გეგმავს.

კომერსანტი

გიორგი გუგავა: „დარბევის ბრძანება ივანიშვილმა გასცა, ეს გახარიას პასუხისმგებლობას ამძიმებს“

„რატომ შეიყვანეს კერძო პირ ივანიშვილის რეზიდენციაში სპეცრაზმი? ერთ კუთხეში სპეცრაზმი უნდა იყოს ჩასაფრებული, მეორეში ზებრა?!“

იაგო ნაცვლიშვილი

20 ივნისის დარბევის შემდეგ პირველად შინაგან საქმეთა მინისტრი ჟურნალისტებს შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ მისცა. შეხვედრა 27 ივნისს ტელეწამყვანებთან შედგა. გიორგი გახარიამ მიანიშნა, რომ აქციის დარბევის ბრძანება უშუალოდ მას არ გაუცია. ყოველ შემთხვევაში, მან თქვა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გასცა ბრძანება, პასუხისმგებლობას თავად იღებს.

რა მინიშნება გააკეთა შს მინისტრმა, მსუბუქდება თუ მძიმდება მისი პასუხისმგებლობა და რით იყო გამოწვეული ის, რომ პარლამენტის მიერ ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გადაწყვეტილების შემდეგ, სასამართლომ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ ნიკა მელიას პატიმრობა არ შეუფარდა? – აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს:

– მოვისმინეთ მინიშნებები შს მინისტრისგან, თითქოს მას არ გაუცია აქციის დარბევის ბრძანება, თუმცა პასუხისმგებლობას იღებს. თქვენ რა ვარაუდი გაგიჩნდათ, რა შეიძლება მომხდარიყო?

– ჩვენ ამას თავიდანვე ვვარაუდობდით, რომ ივანიშვილის გარეშე ამ ბრძანებას ვერავინ ვერ გასცემდა. რეალურად ეს ეჭვები შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადასტურა და განაცხადა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გასცა ბრძანებაო. როგორ არ აქვს მნიშვნელობა? ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და, სხვათა შორის, ეს უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე აქციის დარბევა. რადგანაც, როგორც ჩანს, დარბევის ბრძანება გაცემული აქვს არაუფლებამოსილ პირს, კერძო პირს, პარტიის თავმჯდომარეს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ეს სტატუსი გააჩნია. აქედან გამომდინარე, ეს უფრო დიდი დანაშაულია. ამაზე გააკეთა მინიშნებები გახარიამ.

ჩვენ გვაქვს კულუარული ინფორმაციები იმაზე, რომ სწორედ ანზორ ჩუბინიძე იყო ივანიშვილთან სახლში, მისგან მიიღო ეს დავალებები, ჩამოვიდა და დაიწყო დარბევის ოპერაცია რუსთაველზე. ამაზე საერთოდ საქმის კურსში არ იყვნენ მთავრობის წევრები. რა თქმა უნდა, ეს მათი პასუხისმგებლობის საკითხს არა თუ ხსნის, არამედ ამძიმებს, მაგრამ რეალური ბრძანების გამცემი სწორედ იყო ივანიშვილი.

– ანუ რეალური ბრძანების გამცემი ივანიშვილი იყო, მაგრამ ბრძანება ანზორ ჩუბინიძემ გასცა?

– ოპერატიული ბრძანება და შესრულების შინაარსი ჩამოიტანა ჩუბინიძემ და განახორციელა მან, რომელიც ჩართული იყო დარბევის ამ ოპერაციაში.

– ეს ნიშნავს, რომ ამ სამივე პირზე, რომლებსაც ასახელებთ – ივანიშვილი, გახარია და ჩუბინიძე, მათზე თანაბრად ნაწილდება პასუხისმგებლობა?

– არა, ეს ნიშნავს დიდ უბედურებას. ეს რომ ივანიშვილის მიერ გაცემული ბრძანება იქნებოდა, ამაში იცით რა მარწმუნებს? გახსოვთ? მან წინა დღეებში საკუთარ სახლში შეიყვანა სპეცრაზმი. რა უფლება აქვს, რომ სპეციალური დანიშნულების ოპერაციული რაზმი, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება, კერძო პირმა საკუთარ ბიზნესცენტრში შეიყვანოს და დაიყენოს დასაცავად. ერთია მისი მორალური მხარე, რომ კურდღელივით არის შეშინებული და სპეცრაზმელებთან ერთად სძინავს. მეორეა, რომ ამის უფლება არ აქვს. აქედან გამომდინარე დარწმუნებული ვარ, რომ იმ დღეს ბრძანება გაცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, ანუ კერძო პირის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სახელმწიფო არ გვაქვს და კონსტიტუცია ფარატინა ქაღალდია. ამ კაცის ჭკუაზეა ქვეყანა დამოკიდებული. ვხედავთ, რა ჭკუაზეა ეს კაცი და რა გადაწყვეტილებებს იღებს.

– აქედან გამომდინარე მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომის მოთხოვნა არარელევანტური ხომ არ ხდება?

– მე რაც ვთქვი, ეს ნამდვილად არ ამსუბუქებს შს მინისტრის ქმედებას, პირიქით, ამძიმებს. თუ მან იცოდა, ბრძანება არ გაუცია და მის ნაცვლად ბრძანება გასცა სხვამ, მით უმეტეს, მისი პასუხისმგებლობის საკითხია ეს, უნდა გადადგეს და ბოლოს და ბოლოს უნდა თქვას ყველაფერი. რას ნიშნავს მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გასცა ბრძანება? ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პირველ რიგში ეს უნდა გამოვიძიოთ. ეს დარბევაზე და დარბევის დროს ძალის გადამეტებაზე უფრო დიდი დანაშაულია.

– ეს გახარიას პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია თუ სამართლებრივი?

– მე ვფიქრობ, რომ ეს არის პოლიტიკურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენ ვიცით, რომ 7 ნოემბრის და 26 მაისის დარბევაზე პასუხისმგებლობა დააკისრეს სწორედ მერაბიშვილს, რომელიც იმ პერიოდში იყო შს მინისტრი. მას ამ საკითხთან დაკავშირებით 6 წელი აქვს მისჯილი.

სხვათა შორის, მაშინ ასეთი ტყვიები არ ყოფილა გამოყენებული. მხეცის წინააღმდეგ რომ იყენებენ ტყვიებს, ახლა ის ტყვიები გამოიყენეს. ამიტომ, მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი თავისთავად დგას, უნდა გადამდგარიყო მაშინვე. იკვეთება დანაშაულიც, შესაძლოა არაუფლებამოსილი პირის მიერ იყო გაცემული ბრძანება და ამის შესახებ მან არაფერი არ თქვა და ეს კიდევ უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას. დადგება დრო და გახარიას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც წამოიწევს.

– თუ ბრძანება სხვამ გასცა, ეს, რა თქმა უნდა, ეცოდინება მას და დანაშაულის დაფარვის მუხლითაც ხომ არ მოუწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა?

– რა თქმა უნდა. ის მეორე დღესვე უნდა გადამდგარიყო, მაშინვე, როგორც კი ცოტა ჩაწყნარდა ვითარება, ეთქვა, რომ ბრძანება გაცემულია სხვა პირის მიერ და მას უნდა გაეკეთებინა შესაბამისი განცხადება. ის ამით ამძიმებს ვითარებას. მას ექვემდებარება, ბრძანების გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იყო ის, შს მინისტრს ბრძანება უნდა გაეცა პრემიერთან შეთანხმების საფუძველზე. ვხედავთ, რომ ბრძანება გაცემულია პარტიის თავმჯდომარის მიერ, გესმით რა უბედურებაში ვართ?!

– ახსენეთ სპეცრაზმის შეყვანა ივანიშვილის სასახლეში. მაშინ, როდესაც გვეუბნებიან, რომ არავის მივცემთ უფლებას სახელმწიფო ინსტიტუტები ჩამოშალოსო და ამ დროს სპეცრაზმი შეჰყავთ მის სასახლეში. რა გამოდის, სახელმწიფო ინსტიტუტს კერძო პირის სასარგებლოდ იყენებენ?

– რა თქმა უნდა. რა შუაშია სახელმწიფო ინსტიტუტთან ივანიშვილის კერძო ბიზნესის რეზიდენცია?! მავზოლეუმი გვაქვს თუ რა უნდოდა იქ სპეცრაზმს? ვინ გასცა იქ ბრძანება, რომ სპეცრაზმი შეეყვანათ?! როგორ შეიძლება სპეციალური აღჭურვილობით იქ სპეცრაზმი იყოს ჩასაფრებული და მეორე კუთხეში ზებრა?! ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სად ვართ, რომელ საუკუნეში ვართ, მეფეა ივანიშვილი თუ რა უფლებით ხდება ეს? ეს ცალკე პასუხისმგებლობის საკითხია. ეს კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ მან გასცა დარბევის ბრძანება.

მეტსაც გეტყვით, 2007 წელს იმ დარბევის შემდეგ ივანიშვილმა სწორედ იმ სპეცრაზმელებზე გასცა პრემიები, უშუალოდ „ქართუ ბანკიდან“. უფრო მეტიც, მათი ოჯახის წევრებს გადასცა ტექნიკა, ვის რაც სჭირდებოდა – ზოგს მაცივარი, ზოგს კონდიციონერი და ა. შ. წახალისების მიზნით მეთაურებს 15 000 ლარიანი პრემია გამოუწერა, იგივე იქნება დღეს. ანუ, მას პირად საკუთრებად მიაჩნია. ჰგონია, რომ მისი პირადი ჯავშანია. ამიტომ იყო გამოჩენილი ასეთი სისასტიკე. დარწმუნებული ვარ, მისი უშუალო მითითებით მოხდა ეს. გავა წლები და გამოიკვეთება პასუხისმგებელი პირები და ამას აღიარებს ბევრი ფიგურანტი, ვინც ამაში მონაწილეობდა.

– მელიას ეპიზოდზეც შეაფასეთ პარლამენტის გადაწყვეტილება. როგორ გგონიათ, რატომ გადაიფიქრა ივანიშვილის კონტროლირებადმა სასამართლომ პატიმრობის შეფარდება?

– რაც პარლამენტმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, უბრალოდ, სამარცხვინოა. პრინციპში ეს არის მონების ფასი, რაც არ უნდა სტატუსი ჰქონდეს მას და რაც არ უნდა ფული იშოვონ. მათი ფასი კაპიკია. ნახეთ, როგორი სამარცხვინო და ამორალური გადაწყვეტილება მიაღებინეს. ძნელია მოძებნო მათ შორის ისეთი ადამიანი, რომელსაც სინდისის ნატამალი აქვს შერჩენილი, თუ აქვს ვინმეს, მათ შერცხვებათ საკუთარ შვილებთან თვალებში ჩახედვის. კოლექტიური გასამართლება მოაწყვეს. ეს იყო უპრეცედენტო გადაწყვეტილება. საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში რომ უპრეცედენტოა ვიცი, მაგრამ ალბათ მსოფლიოს მასშტაბითაც ასე იქნება.

რაც შეეხება სასამართლოს, რატომ მიაღებინეს ეს გადაწყვეტილება. ივანიშვილის და მისი კანტორის მიზანია, რომ ეს დაპირისპირება, რომელიც არსებობს, ვიწრო პარტიულ დაპირისპირებაში გადაიყვანონ, თითქოს ეს არის „ნაცმოძრაობასა“ და „ოცნებას“ შორის დაპირისპირება. მაგრამ, ეს არის ივანიშვილსა და ქართველ ხალხს შორის დაპირისპირება. რაც არ უნდა გაათამაშონ და გამოათამაშონ, ამას ვიწრო პარტიულ დაპირისპირებად ვერ შეასაღებენ ხალხს.

ხშირად ისინი თავად უკეთებდნენ ასეთ დაპირისპირებებს პროვოცირებას და შემდეგ მას იყენებდნენ, ბონუსად პოლიტიკური ველი ჰქონდათ გაყოფილი და ამ ველზე აქამდე „ოცნება“ იგებდა. მაგრამ დღეს დაპირისპირება ივანიშვილსა და ქართველ ხალხს შორის არის, ამიტომ მას ამ კონტექსტში ეს აღარ გამოუვა. ეს ჰქონდათ დაგეგმილი მელიასთან მიმართებით, მაგრამ მიხვდნენ რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მიხვდნენ, რომ პოლიტპატიმარი ეყოლებოდათ, რომლის ქმედებაში არანაირი კრიმინალური საქციელი არ არის, შესაბამისად იმასაც ვერ მიაღწევდნენ, რომ ეს „ნაცმოძრაობისა“ და „ოცნების“ აღქმაში გადასულიყო. აქედან გამომდინარე მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

– საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლამაც ხომ არ იქონია გავლენა? ვნახეთ აშშ-ის საელჩოს განცხადება, მოზომილი, მაგრამ ყველაფერი იყო ნათქვამი მის მოკლე განცხადებაში.

– კი, ესეც იყო, მაგრამ მარტო საერთაშორისო საზოგადოების დამსახურება არ არის. პირველ რიგში ეს იყო ქართველი ხალხის დამსახურება. ხალხს ვერ შეასაღეს ის, რომ ეს იყო „ნაცმოძრაობის“ და „ოცნებას“ შორის დაპირისპირება. ვიმეორებ, ერთ მხარეს დგას ხელისუფლებად წოდებული კრიმინალური ოლიგარქიული ჯგუფი და აქეთ მხარეს არის ქართველი ხალხი, რომელიც ამ ყველაფერს უპირისპირდება და განმათავისუფლებელი ბრძოლა აქვს ამ ოლიგარქიული სისტემის მიმართ.

ნუკრი ქანთარია: „ახლა გახარიას გადადგომა არ შეიძლება!“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი გახარიაზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, როდესაც უსმენდით გიორგი გახარიას გამოსვლას, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? უნდა გადადგეს გახარია?

– კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გიორგი გახარიას გადადგომის და ამისთვის არგუმენტებიც მაქვს: პირველი, მან თავი გაართვა და დაიცვა საკანონმდებლო ორგანო. რომ ყოფილიყო შევარდნა და პარლამენტის შენობის შტურმით აღება, მაშინ უნდა გადამდგარიყო.

რაც შეეხება დემონსტრაციის დაშლას, მთელი რიგი გადაცდომები იყო, რამაც გამოიწვია ის შედეგები, რაც დღეს გვაქვს. ყველაზე მტკივნეულია, როდესაც ორმა ახალგაზრდამ თვალი დაკარგა.

– ამაზე პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?

– აუცილებელია, ჩატარდეს სრულფასოვანი და ობიექტური გამოძიება და გამოძიებამ უნდა გასცეს ამ კითხვებს პასუხები. ცალკეული გადაცდომები გამოსაძიებელია, რასაც თავად გახარია ითხოვს.

მე მაინტერესებს, ცალკეული პოლიციელების მხრიდან ადამიანებზე ნადირობის წყურვილი საიდან ამოტივტივდა, რა იყო ამის მიზეზი, შეგნებულად მოხდა ეს ძალადობა მათი მხრიდან თუ გაუცნობიერებლად. ამ კითხვებს გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხები.

– ფიქრობთ, კონკრეტულმა პოლიციელებმა შეგნებულად იმოქმედეს?

– მე არაფერს გამოვრიცხავ, ამიტომ ვსაუბრობ ობიექტურ გამოძიებაზე.

– გახარია ბრძანების გამცემს არ აკონკრეტებს, თუმცა ყველა პასუხისმგებლობას თვითონ იღებს. თქვენ გაქვთ ინფორმაცია, ვინ გასცა ბრძანება?

– მე არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის გარეშე ვინ გასცემდა ამ ბრძანებას?! მე იქ ვიყავი და მთელ პროცესს თვალ-ყურს ვადევნებდი. 3 საათის განმავლობაში მაქსიმალური მცდელობა იყო, რომ პოლიცია არანაირ შეტევაზე არ გადასულიყო და მხოლოდ თავდაცვის რეჟიმში ყოფილიყო. როდესაც 30 პოლიციელი გაიტაცეს, როდესაც ქაოსის რეალური საფრთხე შეიქმნა, მერე დაიწყო პოლიციამ მოქმედება. იქ ვიყავი და ამ ყველაფერს საკუთარი თვალით ვხედავდი.

– პარლამენტის შენობის შიგნით გახარიასთან დეპუტატები რომ თათბირობდნენ, იმ თათბირს ესწრებოდით?

– არა, არა. მე ვიყავი პარლამენტის შენობის შიგნით, მაგრამ, როდესაც პარლამენტის შენობაში შევარდნის მცდელობა გაჩნდა, მერე „ქართული ოცნების“ ოფისში გადავინაცვლე რამდენიმე დეპუტატთან ერთად და იქიდან გვქონდა კომუნიკაცია. მოგვიანებით ისე განვითარდა პროცესები, რომ იძულებული გახდნენ, აქციის დაშლის ბრძანება გაცემულიყო.

– ვინ გასცა დაშლის ბრძანება?

– შინაგან საქმეთა მინისტრის გარეშე დაშლის ბრძანება როგორ გაიცემოდა?! მაგრამ თვალში ესროლეთ, დაუმიზნეთ, სისხლი დაღვარეთ, ჩაკალითო, რა თქმა უნდა, ეს ბრძანება არავის გაუცია. რა მოხდა, რატომ იყო გადაცდომები, ეს იყო სტიქიური თუ მიზანმიმართული თუ არაპროფესიონალიზმის შედეგი, ამაზე გამოძიებამ უნდა დადოს დასკვნა.

– რამდენად იქნება გამოძიება ობიექტური, როდესაც გახარია მოქმედი მინისტრია? ინტერესთა კონფლიქტზე რას იტყვით?

– არა, გამოძიება სრულად გამჭვირვალეა და ყველა ჩართულია გამოძიების პროცესში.

ახალგაზრდების გულწრფელი პროტესტი გამოიყენეს ნაციონალებმა და კიდევ რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ. ახლა ამ ტალღაზე არიან მომართულები ნაციონალური მოძრაობა და მათი სატელიტი პარტიები. მათ უნდათ გიორგი გახარიას გადადგომა, როგორც ძლიერი პოლიტიკური ფიგურის, რომ მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ზოგადად პოლიციის სისტემის დასუსტება, საზოგადოებასა და პოლიციას შორის კონფლიქტის გაჩენა.

ეს არის მათი მიზანი. მათ არ ამოძრავებთ არავითარი გულწრფელობა. მათი მიზანია მთლიანად პროცესების პროვოცირება და შემდეგ მისი გამოყენება.

როგორც კი გახარია გადადგება, შეიძლება, ამან ახალგაზრდების დამშვიდება გამოიწვიოს გარკვეულწილად, მაგრამ, მერწმუნეთ, რამდენიმე ხანში აუცილებლად დაიწყება დესტაბილიზაცია. სწორედ ამიტომ არის ამ პარტიებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური მოძრაობისთვის, გახარიას გადადგომა თვითმიზანი და სხვა არაფერი.

ამიტომ ვარ წინააღმდეგი გახარიას გადადგომის მანამ, სანამ გამოძიება არ დადებს შედეგებს. არ არის ეს ის კაცი, რომელიც სკამს არის ჩაბღაუჭებული.

– გიორგი გახარია „ქართულ ოცნებაში“ არის პოლიტიკური ფიგურა. მისი იმიჯი, როგორც პოლიტიკური ფიგურის, დასრულდა?

– არავითარ შემთხვევაში. მე ვიტყოდი, პირიქით!

– რას გულისხმობთ?

– მას რომ გამოეჩინა სისუსტე, რომ შემოვარდნილიყვნენ საკანონმდებლო ორგანოში, რომ ვერ დაეცვა სახელმწიფო ინსტიტუცია, მაშინ შეიძლება გვეთქვა, რომ გახარია, როგორც პოლიტიკური ფიგურა, დასრულდა. ამ შემთხვევაში მეც ვიტყოდი, რომ გახარია უნდა გადადგეს.

ამ ეტაპისთვის გიორგი გახარიას გადადგომა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ეს არ არის მხოლოდ ჩემი მოსაზრება.

თამარ ჩხეიძე: „პარლამენტი, რომელიც მელიას იმუნიტეტს უჩერებდა, 1937 წლის საბჭოთა ხელისუფლებას ჰგავდა“

მარიამ მჭედლიშვილი

„საპროტესტო აქცია თბილისში მისასალმებელია“

ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატ **თამარ ჩხეიძეს.**

– რეაგირებს თუ არა შესაბამისად საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებასა და მიმდინარე მოვლენებზე?

– ხელისუფლება ამაზე სრულიად არაადეკვატურად რეაგირებს. ამის მაგალითად საკმარისია დავასახელოთ 20-21 ივნისს ღამით პარლამენტთან მოწყობილი სისხლისღვრა.

ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ ეს სრულყოფილად გამოიძიოს და პასუხისმგებელი პირები ახლავე გადააყენოს, ნიკა მელიას დევნის. კიდევ კარგი, იმდენი ჭკუა ეყოთ და იგი ახლავე არ გამოამწყვდიეს საპატიმროში. მართალია, მისთვის გირაოს გადახდევინებაც არასწორია, მაგრამ ამ ეტაპზე რომ ნიკა მელია წინასწარი დაკავების საკანში ვერ ჩასვეს, ესეც წარმატებაა.

– ზოგი ამას სამართლიან სასამართლოს უკავშირებს.

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს კონკრეტული მოსამართლის გადაწყვეტილება არ ყოფილა. ხელისუფლება შექმნილი ფონის გამო მოერიდა ამის გაკეთებას ამ ეტაპზე. ამაზრზენი იყო ის, რაც ამ სასამართლო სხდომამდე პარლამენტში ხდებოდა.

– როცა პარლამენტის უმრავლესობა ნიკა მელიას სადეპუტატო იმუნიტეტს უჩერებდა და მტკიცებულებების გარეშე მის დაკავებაზე თანხმობას იძლეოდა?

– რასაკვირველია, ამაზე ვსაუბრობ. ამ დროს პარლამენტი ისევე იქცეოდა, როგორც საბჭოთა ხელისუფლება 1937 წელს და იაკობინელები საფრანგეთში.

– დაუნდობლად და კანონების გარეშე?

– ბუნებრივია. ეს იყო საბჭოთა რეჟიმისა და ფრანგი რევოლუციონერების ქმედებები, ოღონდ, გარკვეულად, გაშარჟებული ფორმით. ახლა სრულიად სხვა ეპოქაა და მელიას ვერ აწამებდნენ და ვერ დახვრეტდნენ, ვერც გილიოტინაზე აიყვანდნენ. ამას ვერ იზამდნენ, თორემ, პარლამენტის ამაში მონაწილე წევრების მოქმედებები იმ ეპოქების ანალოგია იყო.

ხელისუფლება არაადეკვატურია იმაშიც, რომ 20-21 ივნისის საშინელი დარბევის გამო არ დამდგარა არავისი პასუხისმგებლობა. საუბარია მაღალი თანამდებობის პირებზე. 1989 წლის 9 აპრილის სისხლისღვრა პირადად პატიაშვილს არ მოუწყვია, მაგრამ ისიც კი გაუშვეს თანამდებობიდან. შს მინისტრი თანამდებობაზე რჩება.

– იგი აცხადებს, რომ ამ ამბების გამოძიების დამთავრების შემდეგ გადადგება.

– ვერ გამიგია, მისი გადადგომა რატომ უშლის ხელს გამოძიებას? პრესკონფერენციაზე გახარია ცდილობდა აეხსნა, რომ ძალის გამოყენება ლეგიტიმური იყო, რადგან იგეგმებოდა შტურმი, ძალას კი ზოგიერთმა პოლიციელმა გადაამეტა. ჟურნალისტმა თამარ ბაღაშვილმა მას ძალიან კარგად დაუსაბუთა, რომ იმ დროს, როცა ხალხის მიმართ ანგარიშსწორება დაიწყო, შტურმის საშიშროება არ არსებობდა და მშვიდობიანი მომიტინგეები სასტიკად დაარბიეს. მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ლეტალური იარაღი. აქციაზე დაშავებულმა თამარ ბაღაშვილმა გიორგი გახარიას მტკიცებები ნაცარტუტად აქცია.

– პარლამენტთან აქციები გრძელდება. რას იტყვით იქ შეკრებილ საზოგადოებაზე?

– აღფრთოვანებული ვარ ამ ხალხით. იქ მიდის სხვადასხვა ასაკის საზოგადოება, მაგრამ მიტინგებისა თუ მსვლელობების წარმმართველები არიან ახალგაზრდები. ისინი საოცრად მოწესრიგებულები და მომზადებულები არიან.

აზრი ორადაა გაყოფილი იმ საკითხზე, უნდა იყვნენ თუ არა ამ მიტინგების ორგანიზატორები პოლიტიკოსები. პირადად მე ამ აქციასაც მივესალმები და მის სახალხო ხასიათსაც. იქ პოლიტიკოსებიც დადიან და ზოგჯერ სიტყვითაც გამოდიან. ესეც კარგია.

ქუჩაში შეკრებილი საზოგადოება არ უნდა იქცეს მიუკარებელთა კასტად. ხელისუფლებას ჰქონდა იმის მცდელობა, რომ პროვოკაციებით საზოგადოება და პოლიტიკოსები ერთმანეთთან დაეპირისპირებინა. ეს არ გამოუვიდა. ყველაფერს სჯობია, რომ ყველამ გააერთიანოს ძალები მიზნების მისაღწევად.

– ხომ არ მივიღებთ იმას, რომ საქართველოში პოლიტიკური ლიდერები შეიცვლებიან და სხვები გამოჩნდებიან?

– ახლების მოსვლამ სხვები არ უნდა განდევნოს. ახალი სახეები მოვლენ, მაგრამ მოქმედი პოლიტიკოსები ამის გამო არ უნდა წავიდნენ. ყველამ უნდა გააკეთოს ის, რაც შეუძლია.

– მმართველი პარტიის საარჩევნო ინიციატივაზე რა აზრის ხართ? 2020 წელს გვთავაზობენ პროპორციულ არჩევნებს ნულოვანი ბარიერით.

– პროპორციული არჩევნების დაშვება 2020 წლისთვის ხელისუფლებას არაფრით არ უნდოდა. ეტყობა, ის იძულებულია, წავიდეს დათმობაზე. ჯერჯერობით, ეს სიტყვიერი წინადადებებია. ხელისუფლებისთვის მძიმეა მაჟორიტარულ სისტემაზე უარის თქმა. როგორც ჩანს, ამის საკომპენსაციოდ „ქართული ოცნება“ ფიქრობს, როგორ მოახდინოს ამის კომპენსაცია.

– ნულოვანი ბარიერი „ოცნებამ“ სათავისოდ ჩაიფიქრა?

– ზოგადად, ბუნებრივი ბარიერის წინააღმდეგი არ ვარ. ბუნებრივი ბარიერი გვაჩვენებს, რამდენი ხმა მოდის ერთ ადგილზე პარლამენტში. ბუნებრივი ბარიერი დემოკრატიული მოვლენაა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ „ოცნება“ მას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ფულით შესაძლებელია ფიქტიური პოლიტიკური ერთეულების ყიდვა და მათი შეყვანა პარლამენტში.

– არაფიქტიური პარტიებიც ხომ მოხვდებიან პარლამენტში?

– დამოუკიდებელ არაფიქტიურ პარტიებს საქართველოში უფულობის პრობლემა აქვთ. სახსრების გარეშე მათ ძალიან გაუჭირდებათ წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება. ამ პირობებში არსებობს საშიშროება, რომ „ოცნებამ“ საკანონმდებლო ორგანო ფიქტიური ნაყიდი ერთეულებით შეავსოს.

ვფიქრობ, რომ ამით მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების კომპენსაცია ბოლომდე მაინც ვერ მოხდება. პროპორციულ არჩევნებს ამ სიტუაციაშიც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

– ქვეყანაში ისე სწრაფად იცვლება ვითარება და ისეთი კრიზისული მოვლენებია, რომ შეიძლება 2020 წლის შემოდგომა არჩევნებისათვის ძალიან შორი იყოს?

– ბუნებრივია, ეს ვადა ხიფათის შემცველია. დღეს ძალიან ძლიერი საპროტესტო მუხტია. ალბათ, არ იყო შესაძლებელი ამის მიღწევა, თორემ მომიტინგეები აუცილებლად დააყენებდნენ პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას.

ვადიან არჩევნებამდე ხელისუფლებამ შეიძლება ბევრი ცუდი რამ გააკეთოს და უკმაყოფილება ჩააცხროს.

პაატა ზაქარეიშვილი: „პროცესებს დღეს ნაციონალები მართავენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?

– ის კრიზისი, რომელიც იყო „ქართულ ოცნებაში“, გადავიდა სახელმწიფოზე. ეს ის შემთხვევაა, როცა მათი შიდა მოუგვარებელი პრობლემები სახელმწიფოს პრობლემები გახდა. მე მანამდეც არაერთხელ მითქვამს თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ რაც მანამდე ხდებოდა, ეს იყო შიდაპარტიული კრიზისი და აი ახლა სახელმწიფოში დადგა ეს პოლიტიკური კრიზისი.

ეს არის საკმაოდ შემაშფოთებელი, რომ „ქართული ოცნება“ ვერ გაუმკლავდა თავის შიდა პრობლემებს და გარეთ გამოხეთქა ამ ყველაფერმა, შემდეგ კი ეს ძალიან ეფექტურად გამოიყენა მათმა ოპონენტმა, ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელიც ჩასაფრებულია, რომელიც არის დესტრუქციული ძალა.

– თითს იშვერენ ნაციონალური მოძრაობისკენ, მაგრამ, როდესაც სახელმწიფოს სათავეში ხარ, ის, რაც მოხდა, რაც ჩაიდინე, ამის ოპოზიციისთვის გადაბრალება რამდენად ადეკვატურია?

– ეს ყოვლად დაუშვებელია! ძალიან სამარცხვინო იყო პრემიერ-მინისტრის გამოსვლა ამ მიმართულებით, რომ უცხო ქვეყანაში გადახვეწილ, უცხო ქვეყნის მოქალაქე სააკაშვილს დააბრალა პრობლემები. ეს არის უსუსურობის გამოვლენა. ეს არის განცხადება, რომ მე სახელმწიფო არა ვარ და ვიღაცა შორიდან მართავს სიტუაციას. ასე არ არის და, რომც იყო, ეს არ უნდა თქვა.

ეს ხალხი გამოვა და გეტყვის, თუ ის მართავს იქიდან, მაშინ ავდგებით და ბარემ აქ ჩამოვიყვანთ. ისინი ცდილობენ, სახელმწიფოში შექმნან განცდა, რომ ეს არის ორი ძალის დაჯახება და სინამდვილეში გვეუბნებიან, რომ ერთი ძალა არსებობს მხოლოდ და ეს არის ნაციონალური მოძრაობა. დაახლოებით ეს შეტყობინება იყო ბახტაძისგან.

– გახარიაზე რას იტყვით?

– გახარია უფრო ზომიერი იყო. ის ცდილობდა, თავიდან აერიდებინა პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. თვითონ რომც არ გაეცა ეს ბრძანება და სხვას გაეკეთებინა, პასუხისმგებელი თავად არის, რადგან კონსტიტუციით მას ევალება ეს საკითხები. ამიტომ, ბუნებრივია, მას მოუწევს პასუხის გაცემა ბევრ კითხვაზე.

– ტექნიკურად შეეცადა ყველა, თავი აერიდებინა კითხვისთვის, თუ ვინ გასცა ბრძანება. როგორ ფიქრობთ, ეს მოდიოდა პირდაპირ ბიძინა ივანიშვილისგან?

– ძნელი სათქმელია. მე მაინც მგონია, რომ ეს უფრო უშიშროების კონტექსტიდან გამომდინარე მოდიოდა, ვიდრე ბიძინა ივანიშვილიდან. მე არ მინდა, ისე გამოვიდეს ხოლმე, რომ თითქოს ბიძინა ივანიშვილს ვაფარებდე ხელს, მაგრამ, არ მგონია, მას გაეცა ბრძანება, რომ დაარბიეთ. ეს უფრო მგონია, რომ უშიშროებისა და შს სამინისტროს ბრძანება იყო. რას ისვრის სპეცსამსახური, ეს არ არის არც ბიძინას და არც პეტრეს ან პავლეს საქმე.

– აბა, ვისი საქმეა?

– ეს უკვე არის შიდა მოქმედების წესი. უხეშად რომ ვთქვათ, თუ ძაღლი გყავს და მას დაგეშავ ადამიანზე, ძაღლმა იცის უკვე, რაც უნდა გააკეთოს, უნდა უკბინოს, ანუ როცა სპეცსამსახურები გყავს, რომლებიც მომართულია და გაწვრთნილია დარბევაზე, მიტინგების დაშლაზე, მათ თავიანთი აღჭურვილობა აქვთ, თავიანთი იარაღი აქვთ, გაზი, წყალი და რეზინის ტყვია აქვთ. ამიტომ ის როგორც კი იღებს ბრძანებას, რომ დაარბიოს, არბევს ისე, როგორც ნასწავლი აქვს ეს დარბევა, ანუ შლის ისე, როგორც ნასწავლი აქვს, რომ დაშალოს.

ამ დროს ბრძანებას გასცემს მხოლოდ და მხოლოდ შს სამინისტრო. ვინც არ უნდა, სხვა ყოფილიყო ეს, ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს შს სამინისტრო, ის, ვის დაქვემდებარებაშიც არის ამ ტიპის სამსახურები.

– გახარიამ თქვა, რომ ის იღებს პასუხისმგებლობას ამ ყველაფერზე და სწორედ ამიტომ არ მიდის, რათა გამოიძიოს ყველაფერი. რა შედეგი დაიდება?

– მე ჯერ არ მინახავს ამ ქვეყანაში გამოძიებული საქმე. გამოძიება მიმდინარეობს – ამათ ენაზე ნიშნავს, რომ გამოძიება არ დასრულდება არასდროს. ეს იქნება მორიგი თვალში ნაცრის შეყრა.

მთავარი პრობლემა ის არის, რომ დღეს პროცესებს მართავს ნაციონალური მოძრაობა, ეს დესტრუქციული ძალა, რომელიც ქვეყნის ნგრევაზეა მომართული და არა ქვეყნის მშენებლობაზე. დღევანდელი ხელისუფალი კი არის უუნარო ძალა. ნაცმოძრაობა არის ყველაფრის მკადრებელი, „ოცნება“ კი – არაფრის მკეთებელი. დღეს დღის წესრიგს ხელისუფლებას უდგენს ნაციონალური მოძრაობა.

– მაქსიმალურად შეეცდება ნაცმოძრაობა, პროცესები შეინარჩუნოს ქუჩაში?

– რა თქმა უნდა, ეს არის ხელისუფლების ბრალი! ამიტომ, კი არ უნდა გაექცნენ პასუხისმგებლობას, რაც ბახტაძემ გააკეთა, არამედ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა. დროა, დაიწყონ ლაპარაკი სხვა პოლიტიკურ ძალებთან, იმ ძალებთან, ვინც გაკრიფეს თავის დროზე. დაელაპარაკონ უსუფაშვილს, ალასანიას, მათ, ვინც ახლა გავიდა მათგან.

– ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, ყველა განუდგა „ოცნებას“.

– რა თქმა უნდა, განუდგა, მაგრამ მოუწოდოს, მოდით, ვილაპარაკოთ, ბოდიში მოუხადონ. პირდაპირ ბიძინა ივანიშვილმა უნდა თქვას, რომ შეცდომა დაუშვა, რომ გაკრიფა პოლიტიკური ველი, რომ დაშალა კოალიცია, რომ ამის გამო მის გვერდით დარჩნენ მხოლოდ ფარისევლები, მედროვეები და მლიქვნელები.

– დარჩა ნაციონალების პირისპირ და ველარ უმკლავდება?

– დიახ. თურმე კოალიციაში იყო ძალა, რომელიც მას ამისგან იცავდა, ამიტომ მოიხადოს ბოდიში და დაუძახოს ამ ხალხს მოლაპარაკების მაგიდასთან, თქვას, რომ მზად არის თანამშრომლობისათვის.

თუ ამას გააკეთებს, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი კონსტრუქციული ძალა მივა მასთან და დაიწყებენ სიტუაციის გამოსწორებას, ოღონდ ამ სამარცხვინო „ოცნებისგან“ უნდა მოახდინოს დისტანცირება, გამოვიდეს და თქვას, რომ ამან არ გაამართლა. არ გაამართლა შუას გაკრეფამ, არ გაამართლა კოალიციის დაშლამ და ახლა პროპორციულ სისტემაზე იმიტომ გადადიან, რომ შანსები შეუქმნან დანარჩენ პარტიებს.

ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება, თუ იტყვის, რომ არ არის საჭირო ნულოვანი ბარიერი. საჭიროა 3%. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა 5%, მაგრამ, ჯანდაბას, 3% იყოს.

– ანუ ნულოვანს არ ემხრობით?

– არა. 3% მოგვცემს საშუალებას, ბევრი ღირსეული პოლიტიკური პარტია შევიდეს და თითო კაცის პარტია ვერ მოხვდეს პარლამენტში. პროპორციული დიდი მონაპოვარია, ეს აუცილებელია.

– ვადამდელი არჩევნები იქნება?

– თუ პროპორციულ სისტემაზე მიდიან, ვადამდელი არჩევნებიც არ არის პრობლემა. თუმცა პარტიები ვერ მოასწრებენ მომზადებას, ამიტომ ჯობია, თავის დროზე ჩატარდეს და პოლიტიკური პარტიები ნორმალურად მოემზადონ არჩევნებისათვის.

– ასეთი სისტემა ქაოსს გამოიწვევსო.

– უკვე გაისმა ხმები, რომ პროპორციული სისტემა შექმნის ქაოსს. ოქრიაშვილმა თქვა, თუ არ ვცდები. ეს არის ძალიან მცდარი აზრი. ქაოსს შექმნის არა პროპორციული სისტემა, არამედ ნულოვანი ბარიერი. სწორედ ამიტომ შემოგვტენეს ნულოვანი ბარიერის იდეა, მერე ქაოსი რომ იქნება, თქვან, ეს თქვენი ბრალია, პროპორციულს რომ მოითხოვდითო. ნულოვანი ბარიერი უნდა შეცვალონ 3%-ით და ყველაფერი იქნება იდეალურად.

– დღეს რა განმუხტავს არსებულ სიტუაციას? ბიძინა ივანიშვილის სახლთანაც მიმდინარეობს აქციები, მხოლოდ გახარიას გადადგომას აღარ ითხოვენ. როგორ გამოვალთ ამ კრიზისიდან?

– „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ დაეცემა ტემპერატურა და ხალხი აღარ გამოვა ქუჩაში, ხოლო ნაცმოძრაობა ფიქრობს, რომ, პირიქით, თუკი მეტს მივაწვებით, გადადგება გახარია, ანუ ნებისყოფის ამბავია, რომელი პოზიცია უფრო მყარი და მდგრადი იქნება. ნერვების თამაშია, ვინ უფრო მოითმენს ამ ყველაფერს.

„ოცნების“ ყველა უკანდახევას მიიწერს ნაციონალური მოძრაობა, ისევე, როგორც პროპორციულს იბრალებს, თუმცა ნაციონალებს არასდროს სდომებიათ პროპორციული წესით არჩევნები.

ვნახოთ, ვისი ნერვები უფრო მყარი იქნება, ვინ გაუძლებს.

ვახტანგ მაისაია: „გავრილოვი არის პროფესიონალი მზვერავი“

„სპეცსამსახურებმა უნდა გაარკვიონ, ვინ შემოუშვა ის საქართველოში“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აანალიზებს იმ მოვლენებს, რომლებიც ბოლო დროს თბილისში ვითარდებოდა.

– პატონო ვახტანგ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ბოლოდროინდელ მოვლენებზე. მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ?

– საქართველო გადაურჩა სახელმწიფო გადატრიალებას. ის პროცესები, რომლებიც 20 ივნისის ღამეს, აქციის დროს, ღამის პერიოდში დაფიქსირდა, სახელმწიფო გადატრიალების ელემენტები იყო. ადგილი ჰქონდა პროვოკაციულ ქმედებებს, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურები მიერ დაიგეგმა.

ეს პროცესები შეიძლება შევადაროთ 2016 წელს მონტენეგროში შექმნილ სიტუაციას, სადაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო. მონტენეგროშიც აბსოლუტურად იდენტურად ვითარდებოდა სიტუაცია. იქაც რადიკალური დაჯგუფების წევრებმა აიღეს პარლამენტი, შეეცადნენ, გადაეტრიალებინათ მთავრობა. შესაბამისად, დიდი დაპირისპირება იყო შიდა პოლიტიკურ ძალებს შორის.

ფაქტობრივად, საქართველოშიც იგივე სიტუაცია შეიქმნა, რაც მონტენეგროში. საქართველოში მზადდებოდა გადატრიალება. ლოკალური იყო თუ გადატრიალების ფართო ვარიანტი, იმედია, ამას გამოძიება დაადგენს. ალბათ, შეიქმნება საპარლამენტო საგამოძიებო კომისია და მოხდება იმ პროცესების შეფასება.

შეფასება აუცილებელია, რადგან ძალიან ბევრი სპეკულაცია მიდის. საშინელებაა, როდესაც ჩვენმა ახალგაზრდებმა დაკარგეს ყველაზე ძვირფასი, ჯანმრთელობა. ზოგიერთმა ახალგაზრდამ თვალიც კი დაკარგა, რაც საშინელებაა.

უნდა გაირკვეს, აქციის დაშლის მეორე ფაზაში რატომ იყო საჭირო რეზინის ტყვიების არაპროპორციული და არამიზნობრივი გამოყენება. ამას უნდა გაეცეს მკაცრი პასუხი, რადგან, როდესაც დაიწყო მიტინგის დაშლა და მოედნის დაკავება, იმ დროს არაპროპორციული ძალის გამოყენება ძალიან რთული იყო.

– აქციის პირველ ფაზას როგორ აფასებთ?

– პირველ ფაზაში, როდესაც გარკვეული პოლიტიკური პარტიების ლიდერების მოწოდებით პარლამენტზე შტურმი განხორციელდა, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. დასაწყისში ძალის გამოყენება იყო ადეკვატური. თუმცა, შემდეგ, რეზინის ტყვიების გამოყენების წინ, ჯერ უნდა ყოფილიყო გაფრთხილება, შემდეგ გამაფრთხილებელი გასროლა, შემდეგ, შტურმის მონაწილეების შესაჩერებლად, ფეხებში უნდა ესროლათ და მერე უნდა მომხდარიყო რეზინის ტყვიების გასროლა ადამიანის დაზიანების მიმართულებით.

– გახსოვთ, ალბათ, პირველად რეზინის ტყვიები სააკაშვილმა 6 მაისს გამოიყენა თბილისის პოლიციის სამმართველოსთან მიმდინარე აქციაზე, თანაც უკანონოდ. შემდეგ დააკანონა. დღემდე ამის საჭიროება არ ჩანდა და არც არავის უფიქრია, რომ კანონით რეზინის ტყვიების გამოყენება აკრძალულიყო. რეზინის ტყვიების გამოყენება ასაკრძალია.

– აბსოლუტურად გეთანხმებით. რეზინის ტყვიების გამოყენება არის კანონით მინიჭებული უფლება. უნდა იქნეს გამოყენებული უკიდურესი გართულების შემთხვევაში. რეზინის ტყვიების სამი კატეგორია არსებობს.

არ ვიცი, რეზინის ტყვიების გამოყენება რატომ იყო საჭირო, თუმცა, რაზეც ნაცმოძრაობა ლაპარაკობს, ის ფანტასტიკა და მითია. არსებობს

„20-21 ივნისის პროვოკაცია რუსეთმა დაგეგმა“

რეზინის ტყვიები, რომლებიც არის რბილი, არალეტალური. უბრალოდ, რეზინის ტყვიების საბაზისო ნორმად აღებულია სანადირო თოფისა და ტექნიკური იარაღის ნიმუში.

ეს არის საპოლიციო ტიპის იარაღი. შესაბამისად, გამოიყენება პოლიტიკური, ექსტრემისტული პროცესების დროს, არეულობების განხორციელების პერიოდში. ერთ-ერთი ტელევიზიით ჟურნალისტებმა ისეთი არაპროფესიონალური ლაპარაკი დაიწყეს, ტრაგიკომიკური სიტუაციაა. რეზინის ტყვიები აბსოლუტურად საპოლიციო ტიპის იარაღია, რომელიც შექმნილია ასეთი მიზნების განხორციელებისთვის.

რეზინის ტყვიები პირველად 1968 წელს გამოჩნდა ჩრდილოეთ ირლანდიაში, როცა ბრიტანეთის პოლიციამ დაშალა ჩრდილოეთ ირლანდიის სეპარატისტების მიტინგი. შემდეგ ყველა ქვეყანაში გავრცელდა.

რეზინის ტყვიების გამოყენება ხდება უკიდურესად რთულ სიტუაციაში, ანუ როდესაც პარლამენტის შტურმისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა, სამწუხაროდ, მართებულად იქნა გამოყენებული ეს ტყვიები, რადგან პარლამენტის დაკავების რეალური საფრთხე შეიქმნა, საფრთხე შეექმნათ უშუალოდ პოლიციელებსა და სპეცდანიშნულების რაზმების მებრძოლებს. მათი ფიზიკური განადგურების საფრთხეც არსებობდა.

ჩვენ ვიხილეთ, რომ რამდენიმე კარგად მომზადებულმა მცირე ჯგუფის წარმომადგენლებმა (რაც ცალკე საუბრის თემაა) მოახერხეს პირველი რიგის კორდონის გარღვევა. მცირე ჯგუფი იყო კარგად მომზადებული, რომელმაც იცოდა სპეცდანიშნულების რაზმებთან ბრძოლის ტაქტიკური ელემენტები.

პოლიციას არჩეული ჰქონდა სწორი ლოკაცია, ხორციელდებოდა სწორი დაპირისპირება შეტევაზე, მაგრამ რამდენიმე პოლიციელს საპოლიციო იარაღი წაართვეს. უმრავლესობა, რომელიც იქ შეიკრიბა, გულანთებული ადამიანი იყო. სამწუხაროდ, პოლიტიკური შანტაჟის მორევში მოყვნენ.

ფაქტობრივად, პარლამენტის უკანონო დაკავების მცდელობა იყო, რომელიც აბსოლუტურად გაიგივებულია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან. ეს პოზიცია უნდა დავაფიქსიროთ, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. მათი მთავარი ამოცანა იყო სახელმწიფო გადატრიალება. ვინც იქ გადატრიალების მოწყობას ცდილობდა, მათ პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დაეკისროთ.

– მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნეს და ბრალი წაუყენეს, თუმცა, სასამართლომ არასაპატიმრო ღონისძიება გამოიყენა.

– მელია, უგულავა და გრიგოლ ვაშაძე ხალხს პარლამენტში შეჭრისკენ მოუწოდებდნენ. ეს სამეული გამოირჩეოდა.

– მელია ამბობს, გვინდოდა, ხელაწეული შევსულიყავით პარლამენტის ეზოში და იქ დავლოდებოდით კობახიძის გადადგომას, ანუ პარლამენტის აღების განზრახვა არ გვქონდაო.

– სჯობს, მელიამ თავისი ახლად შექმნილი საზღაპრო ნარატივი საკუთარ თავსა და თავის მომხრეებს დაუტოვოს. გავშიფროთ, რას ნიშნავს მელიას მოწოდება, მშვიდობიანი გზით შევიდეთ და დავიკავოთ პარლამენტი.

მშვიდობიანი გზით პარლამენტი დაიკავეს 2003 წელს და მოხდა პოლიტიკური გადატრიალება, რასაც მოჰყვა ხელისუფლების შეცვლა. ასეთი ე.წ. მშვიდობიანი შესვლით განხორციელდა ხელისუფლების შეცვლა – პოლიტიკური გადატრიალება, რასაც აქვს თავისი დასახელება – ფერადი რევოლუცია, რომელიც არის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი სახე.

– როგორც ჩანს, პოლიცია ძალიან გაღიზიანებული იყო იმის გამო, რომ დემონსტრანტებმა თავში ურტყეს.

– ბუნებრივია, ფსიქოლოგიური ფაქტორიც იყო, მაგრამ პოლიცია იმიტომ არის პოლიცია, რომ რეალურად მაღლა დადგეს თავის ფსიქოლოგიურ და პიროვნულ შეურაცხყოფებზე და კანონით განსაზღვრული მისია და ფუნქცია შეასრულოს.

მიტინგის დაშლის სცენარები და პრაქტიკული ამოცანები მიშას დროს არის დამუშავებული. მას შემდეგ არ შეცვლილა. არ მოხდა სპეცრაზმელების გადამზადება, მათი ფუნქციონალური შეცვლა, ფსიქოლოგიური მომზადება. იგივე ძველი სისხლისმსმელი სპეცრაზმელებიც დარჩნენ სისტემაში. ეს არის ყველაზე ცუდი მომენტი. მხოლოდ ზედაპირული რეფორმა ჩატარდა. პოლიციის სისტემური რეფორმა ჩატარდა, მაგრამ სპეცდანიშნულების რაზმების რეფორმირება არ მომხდარა.

– შს მინისტრი უნდა გადადგეს? თქვენ ამბობთ, რომ ვინც ძალას გადაამეტა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ გახარიას პასუხისმგებლობაზე რას იტყვით?

– მე იმ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებდი, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა აქციის დაშლის ოპერაციას, ვინც შეიმუშავა ოპერატიული გეგმა. გახარია, შეიძლება, არაპროფესიონალია და ამ შემთხვევაში აქციის დაშლა სხვას გადააბარა. ვანო მერაბიშვილი იყო უშიშროების მინისტრი, დაუფლებული იყო ოპერატიული მართვის მეთოდებს.

– საფუძველი, რამაც ხალხი პარლამენტის შენობასთან მიიყვანა და 20 ივნისის არეულობა გამოიწვია, პარლამენტის თავმჯდომარის ადგილზე გავრილოვის წამოსკუპება იყო. რა იყო ეს?

– ეს იყო რუსული სპეცსამსახურების მიერ კარგად კომბინირებული, კარგად დაგეგმილი სპეცოპერაცია. ეჭვი მაქვს, რომ სერგეი გავრილოვი არის პროფესიონალი მზვერავი, ოღონდ, რომელ დაზვერვას მიეკუთვნება, სამხედროს თუ სამოქალაქოს, ეს ჩვენმა კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოავლინონ.

საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურმა უნდა გასცეს პასუხი, როგორ მოხდა საქართველოში პროფესიონალი რუსი მზვერავის შემოსვლა. ეს კონტრდაზვერვის სამსახურის საქმეა და ცალკე საუბრის თემაა.

– ეჭვს რა გიჩენთ, რომ გავრილოვი პროფესიონალი მზვერავია?

– გავრილოვი არის პროფესიონალი მზვერავი. ამაში პირადად ეჭვი არ მეპარება. გავრილოვის ბიოგრაფია შევისწავლე და ყველა ინდიკაცია არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ მისი პროფესიონალური ბეგრაუნდი დაკავშირებული იყო დაზვერვასთან.

2011 წელს გავრილოვი დაჯილდოებულია საბრძოლო ჯილდოთი, რომლითაც აჯილდოებენ რუსეთის სამხედრო ოფიცრებს განსაკუთრებული დავალებების შესრულებისთვის. გავრილოვი სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის მეორე კატეგორიის ჯილდოთია დაჯილდოებული.

მეორე – ორი დღის წინ გავრილოვი მიწვეული იყო ნტვ-ზე. მან პირდაპირ თქვა, რომ ის მონაწილეობდა ასეთი ტიპის ოპერაციებში სირიასა და ლიბიაში. ეს პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ მსგავსი ტიპის ოპერაციების ჩატარება უხდებოდა ქვეყნის გარეთ და ამისთვის მან მიიღო ჯილდო.

2012 წელს ის გახდა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექს მიგ-29-ის მშენებარე, ავიამშენებლობის სახელმწიფო კორპორაციის გენერალური დირექტორის მრჩეველი.

ასეთი ტიპის თანამდებობა ეძლევათ ან სამხედრო პირებს, ან პროფესიონალ მზვერავებს. მათ ჰყავთ თავიანთი აგენტურა, თავიანთი ნაცნობების წრე. ეს არის სპეციალური ტიპის სამუშაო. ესეც მიანიშნებს, რომ სერგეი გავრილოვს კავშირები ჰქონდა რუსულ სპეცსამსახურებთან.

არის კიდევ ერთი ფაქტი – როდესაც გავრილოვი თბილისიდან მოსკოვში დაბრუნდა, აიღო ბიულეტენი და არავინ იცოდა, ამ პერიოდში სად იყო.

– ამას როგორ ხსნით?

– ეს საგარეო დაზვერვის ენაზე ნიშნავს დებრიფინგის მოწყობას. როდესაც მზვერავი ასრულებს დავალებას, ის ხვდება იზოლაციაში და იქ აბსოლუტურად ყველაფერს წერს, რათა შემდეგ მოხდეს გაანალიზება, ოპერაცია ეფექტურად ჩაატარა თუ კარგად.

– ანუ გავრილოვს დებრიფინგი მოუწყვეს და ანგარიში ჩააბარა პუტინს?

– დიახ, როგორც ჩანს, ასეთი დებრიფინგი მოუწყვეს. შემდეგ ის გამოჩნდა ტელევიზიაში და გაუშვა თავისი ნარატივი. ბევრი ვერსია არსებობს იმაზე, გავრილოვმა რა როლი შეასრულა პარლამენტის პროცესების დროს, რამდენად შემთხვევით იყო ჩამოსული საქართველოში და როგორ ჩაატარა სპეცოპერაცია. ეს ბევრ კითხვას იწვევს.

– გავრილოვის პიროვნება საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ მეორეა, ვინც უფლება მისცა გავრილოვს, საქართველოს პარლამენტის დარბაზში შესულიყო და ვინც დათანხმდა იმ ღონისძიების პარლამენტის დარბაზში ჩატარებას.

– ჯერ ერთი, რუსი დეპუტატების პარლამენტში შესვლა არ შეიძლებოდა, რადგან საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაშია. მეორეც, რუსეთის დუმის მაღალი თანამდებობის პირის შემოსვლა და პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე დაჯდომა არაფორმალურად კაპიტულაციის განხორციელებას ნიშნავდა.

– ვინც ჩვენი მხრიდან ეს დაუშვა, სიბრიყვით მოუვიდა, უცოდინრობით თუ კიდევ სხვა მიზეზით? რა შეიძლება ვუწოდოთ ამას?

– ეს უნდა განსაზღვროს პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ, თუ საჭიროა, დახურულ ფორმატშიც იმუშაოს. აქ გამოიკვეთა ჩვენი სპეცსამსახურების როლი. როგორ მოხდა, რომ ისეთი მაღალი დონის მზვერავი შემოუშვეს? მაღალი ალბათობით, ასეა. მისი ბიოგრაფია რომ წავიკითხე, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

საგარეო დაზვერვის სამსახურს თავისი ფუნქცია აქვს. მას ევალებოდა ასეთი ტიპის ფიგურების გაშიფვრა. შემდგომში სხვა სპეცსამსახურებიც უნდა ჩარეულიყვნენ საქმეში.

ვის და რატომ გადასცეს დროებით თიბისის აქციების 8% მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ?

მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე „თიბისის“ აქციების 8%-ს დროებით გადასცემენ. ამის შესახებ განცხადება აქციონერებისთვის ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოქვეყნდა. bpn-ის ინფორმაციით და როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ხაზარაძე და ჯაფარიძე განიხილავენ, „თიბისის“ აქციების დაახლოებით 8% დროებით მესამე მხარეს, საფინანსო ინსტიტუტს გადასცენ იმ პირობით, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ წილს უკან გამოისყიდიან.

რატომ დადგა „თიბისის“ აქციების სხვისთვის გადაცემის აუცილებლობა თუნდაც დროებით?

ბიზნესის სამართლის სპეციალისტი აკაკი ჩარგეიშვილი „კომერსანტთან“ აღნიშნავს, რომ ეს აქციები არის ჩვეულებრივი საააქციო საზოგადოების აქციები და ეს არ არის პრივილეგირებული. ამიტომ მათი ნებისმიერი სახით სს-ების ფინანსურ ბაზარზე კლასიფიკაციისთის მოხმარება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით, მათ შორის გასხვისებით, დროებითი გადაცემის გასხვისებით, ნომინალურ მფლობელზე გადაცემით, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია აქციები პირობითად გადაცემული იყოს ვინმე B კომპანიაზე ან B პიროვნებაზე, ჩანაწერით, რომ ის არის ნომინალური მფლობელი.

თუმცა, აქციების რეალური მფლობელი ისევ ის კონკრეტული მესაკუთრე იქნება, ვინც ადრე იყო. ეს რეესტრში ასე არ დაფიქსირდება. შესაბამისად, აქციებს ქართული იურიდიქციისთვის და ქართული კანონდმებლობისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები არ გააჩნია. შესაბამისად, როგორც ჩარგეიშვილი აცხადებს, ჩვენ სრულყოფილად შესაძლებელია ვერ მივაკვლიოთ, რეალურად რა ტრანზაქციას ჰქონდა ადგილი.

– თუკი საუბარია დროებით გადაცემაზე, ესე იგი საუბარია იმაზე, რომ გადასცემს შეზუდული უფლებით, უკან დაბრუნების პირობითად, ასეთი ტიპის გადაცემა შეიძლება ნომინალურ მფლობელზე ხდებოდეს. ჩვენ ვიცით ის ინფორმაცია, რაც გაჟღერებულია, მაგრამ რეალობაში რა დგას ამის უკან, არ ვიცით. ანუ, შეიძლება საბოლოო ნიშნულში ნომინალური მფლობელი მაინც ანგარიშვალდებული იყოს იმ კონკრეტული მესაკუთრეების მიმართ, – აცხადებს ჩარგეიშვილი.

კითხვაზე, მაშინ რატომ გადასცეს აქციების 8%-ი მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ თუნდაც დროებით, ამაზე ჩარგეიშვილი განმარტავს, რომ ეს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ინსტრუმენტებია. ეს ასევე უკავშირდება არა მხოლოდ თანხობრივ ნაწილში გარიგების ურთიერთობას, არამედ, აქციონერების ხმების რაოდენობის თვალსაზრისით.

– პირობითად, შეიძლება ვიღაცას აქვს აქციების 20% და მმართველ საბჭოში თავისი კაცის გასაყვანად მას ესაჭიროება დამატებით პროცენტი. ამიტომ, შესაძლოა მათ ეს 8% დროებით გადასცენ, ისინი ამ მართვას უზრუნველყოფენ და შემდეგ უკან დაუბრუნონ. რამდენიმე ვერსია შეიძლება იყოს განხილული, – აღნიშნავს ჩარგეიშვილი.

ცნობისთვის, ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%–ს ან მეტს, წილების მითითებით ასე გამოიყურება: მამუკა ხაზარაძე - 13.37%; ბადრი ჯაფარიძე - 6.68%; European Bank for Reconstruction and Development - 8.08%; JPMorgan Asset Management - 6.49%; Schroder Investment Management - 7.18% და Dunross & Co. - 5.94%.

კომერსანტი

დაპირისპირება გორის სასამართლოში

7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული დედის საქმის განხილვა დაიწყო

28 ივნისს გორის რაიონულ სასამართლოში 7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვანი დედის საქმის განხილვა დაიწყო.

სასამართლოს შენობაში მივიდნენ როგორც ბრალდებულის ოჯახის წევრები, ასევე ბავშვის მამის ახლობლები. აღნიშნულ მხარეებს შორის პროცესის დაწყებამდე რამდენჯერმე მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება.

მოკლული ჩვილის მამის ახლობლები მომხდარში ადანაშაულებენ ბრალდებული არასრულწლოვნის დედასაც და აცხადებენ, რომ ის, სავარაუდოდ, გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა შვილის დანაშაულებრივ განზრახვასთან დაკავშირებით.

– ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მესიჯი, რომელიც ხელთ გვაქვს. ამ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში დედა შვილს გარკვეულ გაფრთხილებას აძლევს. სმს შემდეგი შინაარსისაა: „მამაშენს დაურეკე და ელაპარაკე და რითაც გინდა იმით დაუმტკიცე, რომ ცუდს არ აკეთებ. სული არ გასძვრეს“.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ დედამ იცოდა, რას აპირებდა მისი შვილი. ბრალდებულს ძალზე ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა დედასთან. ჩვენს ოჯახში ყოველთვის ამბობდა, რომ დედა სძულდა. არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ მასზე შურისძიებისთვის გააკეთა ეს ყველაფერი. მოვითხოვთ, ბრალდებულს მიესაჯოს ბრალით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი, – განაცხადა ბრალდებულის მეუღლის მამიდამ.

ბრალდებულის დედა კი აცხადებს, რომ შვილთან კონფლიქტი არ ჰქონია და არასრულწლოვან შვილს მხოლოდ რჩევა-დარიგებებს აძლევდა.

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულის უფლებებს ორი ადვოკატი იცავს. შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, ქეთი გაგოევის გარდა, არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებების დაცვაში არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ჩაერთო.

– ჩვენ ბავშვის ინტერესებს დავიცავთ ნებისმიერ სამართლებრივ დავაში. ამ საქმესთან დაკავშირებით არც ერთ დეტალზე არ ვისაუბრებთ იმიტომ, რომ დაცული იყოს მისი უფლებები და მათ შორის, მისი პირადი ცხოვრება, ასევე, თემის სიმძიმიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვეთანხმებით, რომ ეს საქმე გახდეს საზოგადოებრივი განხილვის საგანი.

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულებას ახორციელებს სასამართლო და, ბუნებრივია, სასამართლოზე იქნება ჩვენ მიერ წარდგენილი ყველა შესაძლო მტკიცებულება და სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საქმესთან დაკავშირებით, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ იურისტმა ანი თავხელიძემ.

წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს.

სასამართლომ კვლავ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.

ამის შესახებ განმარტება პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა გააკეთა.

– დღეს გაიმართა არასრულწლოვანი ბრალდებულის მ.შ-ს წინასასამართლო სხდომა, სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, სრულად გადასცა ის მასალები და მტკიცებულებები, რაც წარმოდგენილი ჰქონდა ბრალდების მხარეს საქმის არსებითი განხილვისთვის, ასევე, იმსჯელა არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებულ პატიმრობასთან დაკავშირებით და კვლავ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომლის თანახმადაც, ბრალდებული უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში და მის მიმართ გამოყენებული პატიმრობა დარჩა ძალაში, – განაცხადა პროკურორმა გუგუტიშვილმა.

ბრალდების მხარის პოზიცია ამჯერად არ გაიზიარა დაცვის მხარემ. 7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვანი დედის ადვოკატი არ ასახელებს არგუმენტებს, რის გამოც დაცვის მხარე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას აღარ ეთანხმებოდა.

– წინასასამართლო სხდომაზე განიხილებოდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, დაინიშნა არსებითი განხილვის სხდომა. დამატებით ვერ მოგაწვდით ვერანაირ ინფორმაციას, მათ შორის ვერც იმას, ინარჩუნებს თუ არა ბრალდებული დუმილის უფლებას.

რაც შეეხება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისთვის შეფარდებულ აღკვეთის პირობებს, დღეს აღარ დავეთანხმეთ ბრალდების მხარის პოზიციას და აღკვეთის ღონისძიების არშეფარდებას ვითხოვდით, თუმცა, სამწუხაროდ, ძალაში დარჩა.

ვერაფერს გეტყვით იმ არგუმენტებზე, რის გამოც აღარ ვეთანხმებოდით აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას, – განაცხადა არასრულწლოვანი ბრალდებულის ადვოკატმა ქეთი გაგოევმა.

21 მაისს, კასპის რაიონის სოფელ აღაიანში 7 თვის ბავშვი მამამ სახლში მოკლული იპოვა. შემთხვევიდან რამდენიმე საათში, პოლიციამ ბავშვის განზრახ მკვლელობის ბრალდებით გარდაცვლილი ჩვილის არასრულწლოვანი დედა დაიკავა.

გამოძიება უმწეო მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა მელიასთვის გირაოს შეფარდებას გაასაჩივრებს

გასაჩივრებას მელიას ადვოკატიც აპირებს

გენერალური პროკურატურა დეპუტატ ნიკა მელიასთვის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბრალდებულ წევრს ნიკა მელიას 27 ივნისს, აღკვეთის ღონისძიების სახით 30.000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ამასთან, ნიკა მელიას სასამართლოს განჩინებით დაეკისრა სხვა ვალდებულებებიც.

ამ ვალდებულებების მიხედვით, ნიკა მელია საცხოვრებელ ადგილს საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ვერ დატოვებს. მას ასევე აეკრძალა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება, მოწმეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია. მას ასევე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოებისათვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება.

ნიკა მელიას ბრალი წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობას და ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობას, რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ნიკა მელიას 6-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ნიკა მელიას ადვოკატიც გაასაჩივრებს. საუბარია იმ დამატებით შეზღუდვებზე, რომლებიც მელიას 30 ათას ლარიან გირაოსთან ერთად განუსაზღვრეს.

ადვოკატ გიორგი კონდახაშვილს მოსამართლის გადაწყვეტილება წერილობით უკვე ჩაბარდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნიკა მელიას საცხოვრებელი სახლის ან აგარაკის დატოვებამდე ვალდებულება აქვს, რომ გადაადგილების ნებართვა პროკურორს სთხოვოს. ხოლო თუ პროკურორი მას უარს ეტყვის, მელია სახლიდან ვერ გავა. სწორედ ამ ნაწილის გასაჩივრებას გეგმავს ადვოკატი, რადგან ეს აკრძალვა კონსტიტუციასა და პარლამენტის რეგლამენტთან

წინააღმდეგობაში მოდის.

გიორგი კონდახაშვილის განმარტებით, მელიას საქმე ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში უპრეცედენტოა და კანონში ხარვეზი გაიპარა. კონსტიტუციაში წერია, რომ მოქმედ დეპუტატს საქმიანობა არ უნდა შეეზღუდოს, ასევე თავის მხრივ დეპუტატის ვალდებულებები გაწერილია პარლამენტის რეგლამენტში და თუ მელია პროკურორის უარის შემთხვევაში საპარლამენტო სხდომაზე ვერ მივა, ირღვევა კონსტიტუციაც და პარლამენტის რეგლამენტიც.

ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ უმრავლესობის რამდენიმე წევრმა არასწორი და სამართლებრივად მცდარი ინფორმაცია გაავრცელა, როდესაც თქვეს, რომ დეპუტატის იმუნიტეტის შეჩერების შემდეგ ისინი უკვე მელიასთვის სადეპუტატო მანდატის შეწყვეტაზეც იმსჯელებდნენ. კონდახაშვილის თქმით, ეს კანონით შეუძლებელია.

ამასთან, ადვოკატი აცხადებს, რომ ნიკა მელიას საპარლამენტო ტრიბუნაზე გამოსვლა და განცხადების გაკეთება არ უნდა შეეზღუდოს, რადგან ამის უფლებაც კონსტიტუციურად აქვს მინიჭებული.

რაც შეეხება გირაოს – ამ ნაწილში მელიას ადვოკატი გასაჩივრებას არ აპირებს და 30 ათას ლარს ნიკა მელია 1 თვის ვადაში გადაიხდის.

პირადობის მოწმობა, დიპლომატიური და საერთაშორისო პასპორტები კი ნიკა მელიამ პროკურატურას 27 ივნისს ჩააბარა.

სტრასბურის სასამართლომ ყინწვისის სპეცოპერაციის საქმეზე ევროკონვენციის დარღვევები დაადგინა

მთავრობას 10.000 ევროს გადახდა დაეკისრა

სტრასბურის სასამართლომ ყინწვისის სპეცოპერაციის საქმეზე ევროკონვენციის დარღვევები დაადგინა.

ინფორმაციას ამის შესახებ იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

„2019 წლის 27 ივნისს გამოქვეყნდა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ. საქმე შეეხება 2011 წლის 26 მაისის ღამეს ჩატარებულ ე.წ. ყინწვისის სპეცოპერაციას, რომლის დროსაც ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 24-კაციანი დაჯგუფება დააკავეს. დაკავების მიზეზად შეიარაღებული ამბოხის მზადება დასახელდა.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დადგინდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა) არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევა.

სასამართლოს მიერ არსებით ნაწილში დადგენილი დარღვევა ეხებოდა დაკავებისას მომჩივნისთვის (ნიკოლოზ გოგუაძე) მიყენებულ მრავლობით დაზიანებებსა და მის მიმართ არასათანადო მოპყრობას. კერძოდ, მომჩივნის განცხადებით, 2011 წლის 26 მაისს ყინწვისის მონასტერთან დაკავების შემდეგ, იგი გადაიყვანეს ქარელის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ფიზიკურად გაუსწორდნენ. ასევე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს თბილისის პოლიციის განყოფილებაში ექვსსაათიანი დაკითხვის დროს.

სასამართლოს შეფასებით, ობიექტური მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მომჩივანს აღენიშნებოდა მრავალი დაზიანება სახისა და ტანის არეში, რომლებიც დაკავებამდე არ ჰქონია. სასამართლო, სხვებს შორის, დაეყრდნო გამოძიების ფარგლებში საქართველოს პროკურატურის მიერ შეგროვებულ მოწმეთა ჩვენებებს, რითაც დასტურდებოდა მომჩივნის ვერსია არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. აგრეთვე, მხედველობაში იქნა მიღებული პროკურორის 2017 წლის 19 ივლისის დადგენილება საქმეზე კვალიფიკაციის დაზუსტების თაობაზე, რომლითაც პროკურატურამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები მომჩივნის არასათანადო მოპყრობის თაობაზე.

რაც შეეხება პროცედურული ნაწილის დარღვევას, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 2013 წლამდე წარმოებული გამოძიების არაეფექტურობაზე. კერძოდ, გამოძიების დაწყებიდან პირველი 18 თვის განმავლობაში (მტკიცებულებების მოპოვებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე) ერთადერთ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენდა მომჩივნის დაკითხვა – 2011 წლის 2 სექტემბერს. 2012 წლის დეკემბერში გამოძიება განახლდა და ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო 2016 წლის მაისიდან საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2017 წლის ივნისი-სექტემბრისა და 2018 წლის აპრილი-სექტემბრის პერიოდში განხორციელდა ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა, რადგან, ამ ეტაპამდე, გამოძიება დასრულებული არ არის.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპენსაციის სახით მთავრობას მომჩივნის სასარგებლოდ 10.000 (ათი ათასი) ევროს გადახდის ვალდებულება დაეკისრა“, – ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცოტნე დადიანის ქუჩაზე „ავერსის“ აფთიაქი დააყაჩაღეს

ცოტნე დადიანის ქუჩაზე „ავერსის“ აფთიაქი დააყაჩაღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, წაღებულია გარკვეული რაოდენობის თანხა.

ხაშურში თიბისი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს

ხაშურში თიბისი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს.

‚ნიუპოსტის“ ცნობით, შემთხვევა ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე ახლად გახსნილი მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე 27 ივნისს ღამით მოხდა.

წაღებულია მცირე ოდენობის თანხა.

ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მიმდინარეობს.

2019, 29 — 30 ივნისი, №152

ტრამპი პუტინს შეხვდა

„ჩვენს არჩევნებში ნულარ ჩაერევით!“

ოსაკაში ჩასული ვლადიმერ პუტინი დონალდ ტრამპს შეხვდა. საუბარმა საათ-ნახევარს გასტანა.

შეხვედრის დაწყების წინ ორივე პრეზიდენტი ჟურნალისტების წინაშე წარდგა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ტრაპს ჰკითხა, პუტინს აშშ-ის არჩევნებში ჩარევის თაობაზე შეკითხვებს თუ დაუსვამთო.

ტრამპი პუტინისკენ შებრუნდა და ყველას თვალწინ უთხრა:

– გთხოვთ, ჩვენს არჩევნებში ნულარ ჩაერევით!

ამის შემდეგ საუბარი დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა.

პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება შედის როგორც ამ ორი ქვეყნის, ასევე მთელი მსოფლიოს ინტერესებში. პრეზიდენტებმა განიხილეს ირანთან დაკავშირებული მოვლენები, აგრეთვე სირიაში, ვენესუელასა და უკრაინაში შექმნილი ვითარება.

შეხვედრაზე რაიმე სერიოზული გარღვევა არ მომხდარა. პუტინმა ვერ მიაღწია თავის მიზანს, აშშ-ის სანქციების შემსუბუქებას. ტრამპმა, თავის მხრივ, რუსეთთან შეხების წერტილები ვერ გამოძებნა.

კონგოში 43 მაღაროელი დაიღუპა

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მაღაროში მიწის ფენის ჩამოშლის შედეგად 43 მაღაროელი დაიღუპა.

სამძებრო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ხელისუფლება ფიქრობს, რომ დაღუპულთა რაოდენობა, შესაძლოა, გაიზარდოს.

თავდაპირველად გარდაცვლილთა რაოდენობა 36-ს შეადგენდა, თუმცა სამძებრო სამუშაოების შედეგად მათი რაოდენობა გაიზარდა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, მაღაროელები სპილენძისა და კობალტის საბადოებზე არალეგალურად მუშაობდნენ და მათ წიაღისეულის მოპოვებაზე შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდათ მოპოვებული.

კონგოს სამხრეთით მდებარე საბადოებში მსოფლიოში კობალტის ნახევარი იწარმოება. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კობალტის ფასი, მოთხოვნის ზრდის პარალელურად, ფაქტობრივად, გაორმაგდა.

წიაღისეულზე მოთხოვნის ზრდა ელექტრომობილების წარმოების ზრდამ გამოიწვია, რომელთა წარმოებისასაც გამოიყენება ლითონი.

ერთგული ძაღლი გარდაცვლილ პატრონს საავადმყოფოს საწოლთან ელოდა

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატში ძაღლმა რამდენიმე დღე გაატარა თავისი გარდაცვლილი პატრონის საავადმყოფოს საწოლთან, მისი დაბრუნების მოლოდინში.

სამი წლის ლაბრადორი, სახელად მუზი, მძიმედ განიცდიდა თავისი პატრონის დაღუპვას. ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ცხოველს დღემდე ვერ წარმოუდგენია, რომ თავის პატრონს ვეღარასოდეს ნახავს.

მათ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნეს საავადმყოფოს საწოლთან თავისი პატრონის მომლოდინე ძაღლის ფოტოსურათი იმის იმედით, რომ მუზისთვის ახალი პატრონი მოიძებნება.

– ის ძალიან კეთილი ცხოველია, თავის ბუნებიდან გამომდინარე. მას უბრალოდ სჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც ნატკენ გულს განუკურნავენ, – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

გავრცელებული ინფორმაციით, ერთგული ძაღლით უკვე რამდენიმე ადამიანი დაინტერესდა.

ეშმაკი დამნაშავე ჭერიდან ჩამოვარდა

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ როჩდეილში მამაკაცი პოლიციელებს სახლის სხვენში ემალებოდა, როდესაც ჭერიდან ჩამოვარდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლის ავტორმა მეტიუ უოლშმა მოყვა, რომ მეგობრებთან ერთად წვეულებაზე ერთობოდა, როდესაც კარზე ზარის ხმა გაიგონა. კართან პოლიციელები იდგნენ და ამ დროს ერთ-ერთი სტუმარი მიიმალა. სამართალდამცავებმა იქ მყოფთ აცნობეს, რომ ეძებდნენ მამაკაცს, რომელიც ოჯახურ ძალადობაში იყო ეჭვმიტანილი.

კადრებში ჩანს, თუ როგორ გამოკითხავენ პოლიციელები იქ მყოფთ, ამ დროს ჭერის ნაწილი ვარდება და იქ მყოფთ თავზე ეცემათ. ჭერში გაჩენილი ხვრელიდან მამაკაცი იყურება, რომელიც იძულებული გახდა, ძირს ჩამოსულიყო და პოლიციას ჩაჰბარებოდა.

უოლშის თქმით, ეს მამაკაცი ადრე არასოდეს ჰყავდა ნანახი. ეჭვმიტანილი დააპატიმრეს.

მოშინაურებულმა პითონმა თავისი პატრონი მოკლა

ინდონეზიის პროვინცია დასავლეთ იავაში პითონმა თავისი პატრონი გაგუდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

42 წლის მამაკაცის ჯანას დაღუპვის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. სამმეტრიანმა პითონმა ის მისივე სახლის უკანა ეზოში მოკლა. დაღუპულის მეუღლე ფიქრობს, რომ ის 17-კილოგრამიან რეპტილიას შეებრძოლა, თუმცა მისი მარწუხებისგან თავის დაღწევა ვერ შეძლო.

მომხდარის შემდეგ ქვეწარმავალმა სახლი მილის გამოყენებით დატოვა, თუმცა სოფლის მცხოვრებლებმა მისი დაჭერა მოახერხეს. მათ პითონი მოკლეს და პატრონის გვერდით დამარხეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს ვადა გაუგრძელა



ევროკავშირმა რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს ვადა კიდევ ექვსი თვით გაუგრძელა.

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს გერმანიის კანცლერმა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა.

– ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ სანქციები შესუსტდეს, – განაცხადა კანცლერმა მერკელმა.

ჩეხეთში ბაბიჩის მთავრობა ხელისუფლებაში რჩება

პრემიერ-მინისტრ ანდრე ბაბიჩის მთავრობა ხელისუფლებაში რჩება. ჩეხეთის პარლამენტში 27 ივნისს, გვიან ღამით, 17-საათიანი მწვავე დებატების შემდეგ გაიმართა კენჭისყრა, რომლის შედეგადაც მთავრობას უნდობლობა ვერ გამოუცხადეს.

ამ წინადადებას 200 დეპუტატიდან მხარი მხოლოდ 85-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ჩეხეთში უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს ოპოზიციის მიერ ორგანიზებული აქციები ბაბიჩის გადადგომის მოთხოვნით.

ბაბიჩს ევროკავშირიდან მიღებული სუბსიდიის არამიზნობრივ გამოყენებაში ადანაშაულებენ, რაც დასტურდება ევროკავშირის აუდიტორული შემოწმების დოკუმენტის შავი ვარიანტითაც, რამაც ორიოდე კვირის წინ მედიაშიც გაჟონა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატები. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მილტონ ჰეიგი: „ამ შემადგენლობას 3,5 წელი ვარჩევდით“

მიმდინარე წელს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს უმნიშვნელოვანესი მისია ექნება შესასრულებელი. მილტონ ჰეიგის გაწვრთნილი გუნდი შემოდგომაზე იაპონიაში გასამართ მსოფლიოს თასზე იასპარეზებს.

უკვე დროა, ვნახოთ, რამდენად გაიზარდა ჩვენი ნაკრები და რა შედეგი ექნება მსოფლიო თასზე, სადაც მეხუთედ ვიასპარეზებთ. ამასთან, ეს იქნება ჰეიგის ბოლო დიდი ფორუმი ჩვენი ნაკრების თავკაცის რანგში, რადგან მისი დამთავრების შემდეგ იაპონიაშივე დარჩება და იქაურ გუნდს გაწვრთნის.

ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბმა უკვე დაასახელა ის 43 მორაგბე, რომლებიც 2019 წლის იაპონიის მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან.

როგორც ყოველთვის, ამ პროცესს მუდამ მოსდევს უსიამოვნებანი. მაგალითად, იაპონიაში წამსვლელთა სიაში ვერ მოხვდა ზურაბ ჟვანია და ბრიტანული უოპსის მორაგბემ სოციალური ქსელით განცხადება გააკეთა, სადაც ბრალს რამდენიმე ადამიანს სდებდა. კონკრეტული გვარ-სახელები არ უთქვამს, მაგრამ ღიად განაცხადა, რომ ისინი უხეშად ერევიან შემადგენლობის შერჩევაში.

შემადგენლობის დასახლებასთან დაკავშირებით შევარდენის სანაკრებო ბაზაზე პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ და მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ისაუბრეს.

გოჩა სვანიძე:

– გაგაცნობთ გაფართოებულ შემადგენლობას, რომელიც 2019 წლის მსოფლიო თასისთვის მოემზადება. ეს სახეები ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ვესაუბრე სამწვრთნელო შტაბს და ტრავმის, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, დანაკლისი არ გვაქვს. გუნდში ერთსულოვნებაა, ბიჭები ერთი მიზნის გარშემო არიან გაერთიანებული, რაც წინაპირობა უნდა გახდეს იმ წარმატებისა, რასაც იაპონიაში ველოდებით.

ჰეიგმა განმარტა, რომ შემადგენლობის შერჩევას წინ უძღოდა 3,5-წლიანი სასელექციო პერიოდი.

მილტონ ჰეიგი:

– დავასახელეთ გაფართოებული შემადგენლობა, რომელიც იაპონიაში გასამართი მსოფლიო თასისთვის მომზადებას დაიწყებს. ჯგუფში არიან ისეთი მორაგბეებიც, რომლებიც კლუბში მიღებული ტრავმების შემდეგ ახლაც რეაბილიტაციას გადიან, მაგრამ გვაქვს იმედი, რომ შეკრების პირველი ნაწილისთვის ისინი მზად იქნებიან. შემადგენლობაში გვყავს გამოცდილი მორაგბეები, რომელთაც დავამატეთ 2 ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშე. ისინი გუნდთან ერთად ივარჯიშებენ და გვაქვს იმედი, რომ მომავალში ნაკრების წარმატებაში დიდ როლს ითამაშებენ.

ამ შემადგენლობის შერჩევის პროცესი ბოლო 3,5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პერიოდში მათ ვაკვირდებოდით კლუბებში, ნაკრებში, ხოლო უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ მომზადებას. 3 წლის წინ სამწვრთნელო შტაბმა და მორაგბეებმა დავისახეთ მიზნები, გავწერეთ გეგმები, რის მიხედვითაც უნდა მოვმზადებულიყავით.

სწორედ ეს გეგმები დაგვეხმარა მსოფლიო თასისთვის შემადგენლობის შერჩევაში. მოხარული ვარ, რომ ვასახელებ ძლიერ გუნდს, რომელიც არის შესანიშნავ კონდიციაში. საქართველოში მყოფი მორაგბეები, განსაკუთრებით ბოლო 6 კვირის განმავლობაში, რეგულარულად ვარჯიშობდნენ ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად, სარაგბო უნარების დასახვეწად. რაც შეეხება ლეგიონერებს, ისინი მაშინ შემოგვიერთდებიან, როდესაც ამის საშუალება გვექნება.

უოსპსის ბურჯის, ზურაბ ჟვანიას საკითხზეც პასუხი ჯერ სვანიძემ გასცა:

– ზურაბ ჟვანიას განცხადებამ ჩვენც შეგვაშფოთა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სელექციის პროცესში გარეშე პირი ჩაერია, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, ამ პროცესში მწვრთნელების გარდა არავინ იღებს მონაწილეობას, მათ შორის კავშირის ხელმძღვანელი პირებიც. დავრწმუნდით, რომ ასეთი საფრთხე არ არსებობს და არც მომავალში იარსებებს. ზურა ყველას ძალიან გვიყვარს და დარწმუნებული ვარ ის ნაკრებში თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის, თუმცა სპორტული კუთხიდან გამომდინარე, ახლა ასე მოხდა.

სპორტულ ფორმაზე გაამახვილა ყურადღება ჰეიგმაც:

– ჟვანიას ნაკრების გაფართოებულ სიაში ვერმოხვედრის მიზეზი მარტივია – ის არ იყო სათანადო ფორმაში. არავითარი სხვა მიზეზი არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებობდეს. გეგმის ნაწილი, რომელზეც ზევით ვისაუბრე და რომელზეც მოთამაშეებთან შევთანხმდით, იყო ის, რომ შეკრების წინ ჩავატარებდით ტესტებს და ყველა მორაგბე უნდა ყოფილიყო იმაზე უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

თუ ვაპირებთ, რომ წლევანდელ მსოფლიო თასზე განსხვავებული შედეგი ვაჩვენოთ, მაშინ ასეთი მიდგომა აუცილებელია. ნაკრების 95%-მა ეს ინდივიდუალური ტესტები წარმატებით ჩააბარა და აჩვენა ისეთი შედეგი, როგორიც აქამდე არასდროს ქონია. 5%-მა ეს ვერ შეძლო. ზურა ამ 5%-ს შორისაა.

მორაგბეთა შერჩევა მხოლოდ ერთი ტესტის მიხედვით არ მომხდარა, თუმცა ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. როდესაც ყველანი, მწვრთნელები და მოთამაშეები შევთანხმდით, რომ თითოეულმა მორაგბემ ყოველ ჯერზე თავიდან უნდა დაიმსახუროს ნაკრებში მოხვედრა, და როდესაც ითქვა, რომ უნდა იყო ისეთ ფორმაში, როგორშიც არასდროს ყოფილხარ, ეს უნდა შეასრულო!

ძალიან ბევრი კრიტერიუმია, რის მიხედვითაც მოთამაშეებს ვარჩევთ და როდესაც შეხედავთ ზურას პოზიციის მოთამაშეებს, რომლებიც მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან, მიხვდებით, რომ ძალიან დიდი კონკურენციაა.

იმ მორაგბეებიდან, რომლებმაც ტესტის ჩაბარება ვერ მოახერხეს, გაფართოებულ სიაში მხოლოდ ერთი მოხვდა და ეს გადაწყვეტილება სათამაშო პოზიციამ და ტრავმებმა განაპირობა:

– გაფართოებულ სიაში მხოლოდ ერთი ისეთი მორაგბე შევიყვანეთ, რომელიც 5%-ში მოხვდა. თუმცა, ეს მოხდა მისი პოზიციის გათვალისწინებით, რადგან ამ პოზიციის ძალიან ბევრი მოთამაშე ტრავმირებულია. სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, ის ტრავმირებული მორაგბე სრულად გამოტოვებს მზადების პირველ ეტაპს და ვერც მეორე ეტაპზე ივარჯიშებს სრული დატვირთვით. სწორედ ამიტომ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. თუ მოსამზადებელი პერიოდისას ზურას პოზიციის რომელიმე მორაგბე დაშავდება, არ არის გამორიცხული, ჟვანია შეკრებაზე შემოვიყვანოთ.

კიდევ 2 მორაგბე, რომელთა ნაკრებში ვერმოხვედრამ კითხვები გააჩინა, გიორგი ფრუიძე და მიხეილ გაჩეჩილაძე არიან. ჰეიგის თქმით, მათ კონკურენციას ვერ გაუძლეს:

– გაჩეჩილაძესა და ფრუიძეს ნაკრებში უთამაშიათ და მათ შესაძლებლობებს ძალიან კარგად ვიცნობთ. გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიო თასზე ჩვენ უნდა წავიყვანოთ 17 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშე. შეკრებაზე შეგვყავს 26 მორკინალი და 17 ხაზის მოთამაშე. ძალიან დიდია კონკურენცია და კრიტერიუმების გათვალისწინებით, სამწუხაროდ ისინი ამ სელექციაში ვერ მოხვდნენ.

მსოფლიო თასისთვის მზადების პერიოდში, ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბს 2 ახალი სპეციალისტი დაემატება – დაცვის, ბოჭვის, რაქისა და მიწაზე თამაშის მწვრთნელი ჯო ვურზლი და ფიზმომზადების მწვრთნელი ფილ ჰილი:

– რაგბის კავშირის დახმარებით, დაგვემატა 2 მაღალი დონის სპეციალისტი, რომლებიც მოსამზადებელ პერიოდში ჩვენთან ერთად იმუშავებენ. ერთი არის ინგლისის ნაკრებისა და „ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების“ ყოფილი მორაგბე ჯო ვურზლი, რომელიც ამჟამად ტოპ 14-ის კლუბ ბორდოში მუშაობს.

ის იქნება ტექნიკური მრჩეველი და ლევან მაისაშვილს დაეხმარება დაცვის ორგანიზებაში, იმუშავებს რაქისას მიწაზე თამაშის მიმართულებით. მეორეა ფილ ჰილი, რომელიც იმუშავებს ფიზმომზადებაზე. მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს, მუშაობდა ზე-რაგბის ზელანდიურ გუნდებში, მათ შორის ჩიფსში და მოგვიანებით შემოგვიერთდება.

საინტერესო თემა იყო ასევე გაწერილი გეგმა, რომელიც ტესტ-მატჩებიდან შედგება, რადგან სათამაშო გეგმა არანაკლებ მნიშვნელოვანი თემაა. საფრთხე იყო ამ გეგმის არევის...

ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, რუსეთის ნაკრები 27 აგვისტოს „მიხეილ მესხზე“ გასამართი საკონტროლო მატჩისთვის საქართველოში არ ჩამოვიდეს, თუმცა ეს არაოფიციალური ინფორმაციაა და სვანიძის თქმით, ამ ეტაპზე ცვლილებები არ იგეგმება, საჭიროების შემთხვევაში კი, სარეზერვო ვარიანტი გამოჩნდება:

– რუსეთის რაგბის კავშირისგან ოფიციალური ინფორმაცია არ მიგვიღია. ეს თამაში მსოფლიო რაგბის ინიციატივით დაიგეგმა. ის შეყვანილია მსოფლიო რაგბის ოფიციალურ კალენდარში და მისი გაუქმება ასე მარტივად ვერ მოხდება. თუ იქნება უარი, რისი სიგნალებიც ჯერ არ გვაქვს, აუცილებლად მოვძებნით სარეზერვო ვარიანტს.

ჰეიგმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ წლევანდელ მსოფლიო თასზე მიზანი მინიმუმ წინა მსოფლიო თასზე მიღებული შედეგის გამეორებაა, თუმცა არის სხვა მიზნებიც, რომელთა შესახებაც მწვრთნელმა ამ ეტაპზე არ ისაუბრა:

– ყველა მიზანზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან ეს იმ გეგმის ნაწილია, რომელიც გუნდის მზადების შემადგენელია. ჩვენი სურვილია, რომ გავიმეოროთ მინიმუმ ის შედეგი, რასაც გასულ მსოფლიო თასზე მივაღწიეთ. ეს ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე 4 წლის წინ იყო, რადგან ჩვენ მსგავსად მეორე დონის ნაკრებები – ფიჯი და ურუგვაი, ძალიან ძლიერი გუნდები არიან. მომავალი 3 თვე სწორედ იმას დაეთმობა, რომ კარგად მოვემზადოთ დასახული მიზნის შესასრულებლად.

როგორც მწვრთნელმა აღნიშნა, რაზმში 26 მორკინალი და 17 ხაზის მოთამაშეა. მათგან 28 ლეგიონერია, 15 კი დიდი 10-ის კლუბებს წარმოადგენს. გაფართოებულ რაზმში არ არიან, თუმცა მსოფლიო თასისთვის მზადების პერიოდში გუნდთან ერთად მოემზადებიან პერსპექტიული მორაგბეები – მეორეხაზელი ლაშა ჯაიანი და 9 ნომერი მიხეილ ალანია.

ამ ეტაპზე სამწვრთნელო შტაბი შეკრებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს ახორციელებს, მიმდინარეობს დაგეგმარების პროცესი, რათა შეკრებას გუნდი საუკეთესო ფორმაში და მზად შეხვდეს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ კლუბებში მოთამაშე მორაგბეები, ნაკრების ბირთვის ადგილობრივი ჯგუფი პერიოდულად იკრიბებოდა შევარდენზე და გეგმურ ვარჯიშებს გადიოდა, ხოლო ლეგიონერებს ამ ეტაპზე სავალდებულო დასვენების პერიოდი აქვთ.

მსოფლიო თასისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე, ბორჯღალოსნები სამ საკონტროლო თამაშს გამართავენ, აქედან 2 თბილისში შედგება და დროის ზუსტად იმ შუალედით, როგორიც მსოფლიო თასზე იქნება.

თიბისი რაგბის სერიების ეგიდით, 27 აგვისტოს „მიხეილ მესხზე“ რუსეთის, ხოლო 31 აგვისტოს „დინამო არენაზე“ შოტლანდიის ნაკრებს ვეთამაშებით, რომელიც პირველი თიერ 1 ნაკრებია, ვინც საქართველოში ჩამოდის. მოსამზადებელი ეტაპის დასკვნითი შეხვედრა 6 სექტემბერს სტუმრად, კვლავ შოტლანდიასთან „მარიფილდზე“ გვექნება.

რაც შეეხება მსოფლიო თასს, იქ დ ჯგუფში ვითამაშებთ და 23 სექტემბერს ტოიოტაში უელსს შევხვდებით, 29-ში კუმაგაიაში ურუგვაის ვეთამაშებით, 3 ოქტომბერს ფიჯის ოსაკაში ვერკინებით, ხოლო ჯგუფურ ეტაპს 11 ოქტომბერს შიზუოკაში, ავსტრალიასთან მატჩით ვასრულებთ.

გაფართოებული შემადგენლობა:

უკანა ხაზი: მერაბ კვირიკაშვილი, სანდრო თოდუა, გიორგი აფციაური, სოსო მათიაშვილი, მირიან მოდებაძე, ზურაბ ძნელაძე, დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, გიორგი კვესელაძე, ლაშა მაღაღურაძე, ლაშა ხმალაძე, რევაზ ჯინჭველაშვილი, თედო აბჟანდაძე, გიორგი ბეგაძე, ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია.

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, კახა ასიეშვილი, გიორგი თეთრაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭყოიძე, ვანო კარკაძე, ლევან ჩილაჩავა, გიორგი მელიქიძე, ბექა გიგაშვილი, ლაშა ტაბიძე, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, დავით გიგაური, გრიგორ ქერდიყოშვილი, ლაშა ჯაიანი, გიორგი თხილაიშვილი, ლაშა ლომიძე, ბექა ბიწაძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე, საბა შუბითიძე, ბექა საღინაძე.

საქართველო მეხუთეა



საქართველოს ნაკრებმა მინსკში მიმდინარე ევროპული თამაშების მე-7 დღეს წინა დღის შედეგი გაიმეორა – თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საქართველოს ოლიმპიურ გუნდს მოპოვებული აქვს 24 მედალი (6 ოქრო, 7 ვერცხლი, 11 ბრინჯაო) და საერთო ჩათვლაში მე-5 პოზიცია უკავია. მართალია, ჩვენებმა მე-3 პოზიცია ვერ შეინარჩუნეს, თუმცა, ეს მოსალოდნელიც იყო. სპეციალისტები ამ შედეგითაც გაკვირვებულნი არიან.

ყველასთვის მოულოდნელად, სამეულს მიღმა დარჩა კანოისტი ზაზა ნადირაძე, რომლისგანაც მედალს ველოდით. ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა საკვალიფიკაციო ეტაპი საუკეთესო შედეგით მოიგო და უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა. ზაზამ ფინალში 200-მეტრიანი დისტანცია 44.995 წამში დაფარა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

პირველ ადგილზე 42.835 წამით მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ბელარუსი არტიომ კოზირი გავიდა. მეორე ადგილი 43.353 წამით იტალიელ ნიკოლე კრასიუნეს ერგო, ხოლო მესამე პოზიცია ესპანელმა ალფონსო ბენავიდესმა დაიკავა – 44.255.

აქვე კანოეთი 200 მეტრზე ქალებში ფინალში იასპარეზა მარიამ ქერდიკაშვილმა, რომელმაც საბოლოოდ მე-8 შედეგი აჩვენა – 54.691. ამავე მანძილზე კაიაკით რბოლაში ბადრი ყაველაშვილმა 38.095 წამით ბ ფინალი მოიგო და საბოლოოდ, მე-10 ადგილი დაიკავა.

4 მედლით (2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) დაასრულა ასპარეზობა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ნაბიჯი დააკლდა მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს ვლადიმერ ხინჩეგაშვილს (65 კგ). ჩვენი გუნდის ლიდერი ფინალში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ ჰაჯი ალიევთან 2:10 დამარცხდა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. წინა ევროპული თამაშების ფინალისტმა ელიზბარ ოდიკაძემ (97კგ) ამჯერად ბრინჯაოს მედალი აიღო. მან სანუგეშო წრეში ჯერ პოლონელი მეტოქე დაამარცხა, შემდეგ კი ბრინჯაოს ფინალში უკრაინის სახელით მოასპარეზე მურაზ მჭედლიძეს 4:0 მოუგო.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

დინამო ლიდერებს მიუახლოვდა

სიონი-დინამო (თბ) 0:3

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

0:1, 0:2 შენგელია (43, 70), 3:0 კუტალია (79)

სიონი: გოშაძე, რ.ჩაჩუა, ტვილდიანი (საგანელიძე 60), აფაქიძე, სუხიაშვილი, ქიქავა, დ.კირკიტაძე, სიხარულია (ხვადაგიანი 88), თარგამაძე, გვარაძე, ვ.ისიანი

დინამო: პერალესი, მონხილი, მეჯუბი, კობოური, იაშვილი, კუხიანიძე (ზარია 81), შულაია (დაფე 80), პაპავა (ქარდავა 67), ივანისენია, შენგელია, კუტალია

დედაქალაქელებმა, ტრადიციულად, უხერხული მეტოქე ამჯერად მარტივად დაამარცხეს და ძალიან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს. დინამომ სიონს 3 უპასუხო გოლი გაუტანა.

ანგარიში შეხვედრის 43-ე წუთზე ლევან შენგელიამ გახსნა, მანვე გაზარდა უპირატესობა ორამდე მატჩის მეორე ნახევარში. საბოლოო შედეგი კი ლევან კუტალიამ დააფიქსირა, რომელმაც ქუსლით აიღო ოთო გოშაძის კარი. აღსანიშნავია, რომ სიონთან დაპირისპირებაში დინამოელებს მრავლად ჰქონდათ რეალური საგოლე მომენტები, თუმცა რეალიზება ვერ მოახდინეს.

ამ გამარჯვების შემდეგ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ბათუმის დინამოს და საბურთალოს, რომელთაც აქტივში 39 ქულა აქვთ, თბილისის დინამო მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

რუსთავი-ვიტ ჯორჯია 1:0

ხუსთავი. ტექნიკური ცენტრი

1:0 ჩოგაძე (64)

რუსთავი: კულუა, ც.კაპანაძე, ტაკულოვი (ფონიავა 58), სილაგაძე, გუჯაბიძე, ჩოგაძე, კიტეიშვილი (ჯა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დინამო ლიდერებს მიუახლოვდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ფიაშვილი 75), ქოჩლაძე (ლ.გადრანი 90), ბუგულოვი, ბ.ქავთარაძე, ციცქიშვილი

ვიტ ჯორჯია: ისერგიშვილი, ლაცაბიძე, თათხაშვილი (გუგბერიძე 14, აშორდია 87), ნაჭყებია, ქისიევი, სეხნიაშვილი, ვაზაგაშვილი (გვასალია 68), ზარიძე, ვასაძე, მუსელიანი, მუზაშვილი

მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა რუსთავმა, რომელმაც საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტი ვიტ ჯორჯია მიიღო.

მატჩი სანახაობრივი კუთხით გამორჩეული არ იყო, თუმცა მასპინძლებმა პროგრამა მაქსიმუმი მაინც შეასრულეს და გამარჯვების მომტანი გოლის გატანა შეძლეს. თამაშის 63-ე წუთზე სტუმართა კარი თემურ ჩოგაძემ აიღო.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	20	12	3	5	33-20	39
2.საბურთალო	20	12	3	5	36-24	39
3.დინამო (თბ)	20	12	2	6	38-22	38
4.ტორპედო	20	10	4	6	42-31	34
5.ლოკომოტივი	20	9	2	9	25-23	29
6.ჩიხურა	20	6	8	6	28-22	26
8.დილა	20	6	4	10	21-26	22
8.სიონი	20	6	4	10	23-50	22
9.რუსთავი	20	4	6	10	22-34	18
10.ვიტ ჯორჯია	20	4	2	14	11-27	14

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

დღეგრძელი ქალი სანიმუშო ქცევისთვის დააპატიმრეს

ინგლისის საგრაფო დიდი მანჩესტერის პოლიციამ ხანდაზმული ქალბატონის სურვილი შეასრულა და დააპატიმრა.

93 წლის ჯოზი ბერდზის სურდა გამოეცადა, თუ რას ნიშნავს გისოსებს მიღმა მოხვედრა, თუმცა მას კანონი არასოდეს დაურღვევია. ქალბატონის ოცნების შესახებ მისმა შვილიშვილმა პემ სმიტმა ისაუბრა.

– მისი თხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ ბებია „დაეპატიმრებინათ“ და პოლიციის განყოფილებაში გადაეყვანათ, – ნათქვამია პოლიციის პრესრელიზში.

სმიტმა პოლიციას მადლობა ტვიტერში გადაუხადა.

– დიდი მადლობა დიდი მანჩესტერის პოლიციას ბებია ჯოზის „დაპატიმრებისთვის, – დაწერა მისმა შვილიშვილმა, – ის 93 წლისაა, ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდება და სურდა, რომ რაიმესთვის დაეპატიმრებინათ.

– გვახარებს ის, რომ ჩვენი წყალობით მოხუცებულმა ქალბატონმა გაიღიმა და გარდაცვალებამდე შესასრულებელი საქმეების სიაში ერთი პუნქტი გადახაზა, – განაცხადა მანჩესტერის პოლიციის მთავარმა ინსპექტორმა დენიზ პაიმ.

წყვილმა ბავშვის დაბადებამდე იქორწინა

ამერიკის ნიუჯერსის შტატის მკვიდრმა წყვილმა ქორწილი საავადმყოფოში მშობიარობამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაიხადა.

მაიკლ გალარდო და მარი მარგარიტონდო ბავშვის მალე დაბადებას არ ელოდნენ და ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის შემდეგ ყუთების გახსნითა და ნივთების ამოლაგებით იყვნენ დაკავებულნი. როდესაც მამაკაცი საქმეზე წავიდა, მარიმ მას დაურეკა და უთხრა, რომ წყლები დაღვარა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, იმის გამო, რომ მათ ურთიერთობას კანონიერი სახე არ ჰქონდა მიცემული, გალარდოს არ შეეძლო ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მშობიარობის გართულების შემთხვევაში ქალის ჯანმრთელობას შეეხებოდა.

მაშინ მამაკაცმა გადაწყვიტა, ქორწილი პირდაპირ მშობიარობის წინ გადაეხადა, ვინაიდან წყვილს უკვე მიღებული ჰქონდა დაქორწინებაზე თანხმობა და ის რამდენიმე დღის შემდეგ ჰქონდათ დაგეგმილი. საავადმყოფოს პერსონალი ცერემონიისთვის საჭირო ყველა საშუალებით დაეხმარა. მედდები ყვავილების მოსატანად და ღვთისმსახურის მოსაყვანად წავიდნენ. წყვილის მშობლები სასწრაფოდ მივიდნენ საავადმყოფოში იმპროვიზებულ ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად.

მას შემდეგ, რაც ახლად შეუღლებულებმა ერთმანეთს აკოცეს, მარი საოპერაციოში გადაიყვანეს. ქალს სრულიად ჯანმრთელი ბავშვი ეყოლა, იმის მიუხედავად, რომ ექიმები აფრთხილებდნენ, რომ ახალშობილს შესაძლოა გართულებები ჰქონოდა, მისი მშობლების ასაკიდან გამომდინარე. ორივე 40 წელს გადაცილებულია. თავად წყვილი კი თავს უბედნიერესად მიიჩნევს.

ქალმა ბავშვი დიდი სიმაღლიდან გადავარდნას გადაარჩინა

კოლუმბიის ქალაქ მედელინში ქალმა მოახერხა ბავშვის დაჭერა, რომელიც კიბიდან გადავარდა.

ინციდენტი სამშენებლო კომპანია მონსერატის ოფისის შენობაში მოხდა. ქალი პატარა ბავშვთან ერთად ლიფტიდან გამოვიდა, დახურულ კართან მივიდა და მობილური ტელეფონი ამოიღო. სანამ ის ტელეფონით რეკავდა, ბავშვი კიბის მოაჯირთან მივიდა, კიდეზე ჩამოჯდა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და მოაჯირის გისოსებს შორის გადავარდა.

ქალმა მოასწრო იმის შემჩნევა, რაც ხდებოდა, ბავშვისკენ გაქანდა და ბოლო მომენტში ფეხში სტაცა ხელი. მას მიეხმარნენ მუშა და ის ადამიანები, რომლებიც ოფისიდან გამოცვივდნენ. საბედნიეროდ, ბავშვი არ დაშავებულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 ივნისისთვის

ვერძი – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **კურო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

30 ივნისისთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **ღრიანკალი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ქალბატონი ეთერის წამლები ნამდვილ სასწაულს ახდენს!

ლია კახიძე: საქართველოში თუ საზღვარგარეთ მრავალი იცნობს ქალბატონ ეთერ კიკვილაშვილს. მეც თანამონაწილე ვარ მისი მკურნალობის, მქონდა მიომები, ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი არ მქონდა. ბოლოს მირჩიეს ქალბატონ ეთერთან მისვლა, გარკვეული დროის მკურნალობის შემდეგ სულ გამიქრა. მადლობა ქალბატონ ეთერს.

ნათელა მაისურაძე: მკერდზე მქონდა კვანძები, ოპერაცია არ გავიკეთე, ვიმკურნალე ქალბატონი ეთერის წამლით და ნელ-ნელა სულ გამიქრა. ეს წამალი ნამდვილად სასწაულს ახდენს.

ექიმი თერაპევტი ლია მანაგაძე: მქონდა კისტა საკვერცხეზე. ამ წამალმა კარგი შედეგი მომცა, მადლობა ქალბატონ ეთერს.

ვანო სირაძე: ძალიან მაწუხებდა პროსტატა, მივიღე ქალბატონი ეთერის წამალი და თავს კარგად ვგრძნობ. საშინლად მაწუხებდა ბუასილი, მისმა უებარმა მალამომ სამ დღეში გამიუმჯობესა მდგომარეობა, კაცი ფეხზე დამაყენა. მადლობა ქალბატონ ეთერს.

კახა სიმონიშვილი: მქონდა ლიმფომა, მოგეხსენებათ ამ დავადების სიმძიმე, ქალბატონი ეთერის წამლით ჩავიტარე მკურნალობის სრული კურსი და ლიმფომა გამიქრა.

ეს ქალბატონი არის ღმერთისაგან ჩვენ სასიკეთოდ მოვლენილი. მას აქვს შემოთავაზებები სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ იგი არსად მიდის მისი ასაკის გამო.

ქალბატონო ეთერ, იცოცხლეთ დიდხანს თქვენს ოჯახთან ერთად.

ტელ: 599-96-44-63; 269-17-37

ეთერ კიკვილაშვილი.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 2. ლუკ ბესონის მხატვრული ფილმი; 3. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი; 4. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 5. კურორტი რაჭაში; 6. ფულის ერთეული ბრიტანეთში; 9. მონასტერი ბოლნისის რაიონში; 10. ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 14. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 16. უმარტივესი ერთუჯრედიანი ცხოველი; 18. სამშენებლო მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალა; 20. ბუნებაში საორიენტაციო ხელსაწყო; 23. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 25. პროფესიონალი მონადირე; 26. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

თარაზულად: 7. დაბეგვილი და შემწვარი საქონლის ხორცის ნაჭერი; 8. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 13. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 15. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 19. მგალობელი ჩიტი; 21. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში; 22. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 27. ვულკანი ტირენიის ზღვაში; 28. გერმანული ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ანდორა; 2. გლორია; 3. ლეპტოპი; 4. მირკანი; 5. ფსირცხა; 7. ბუნგალო; 11. პროზა; 12. ხენდრო; 13. კალორია; 14. კასკადი; 15. გინესი; 17. ეფექტი; 19. ვაგა.

თარაზულად: 5. ფრანგული; 6. კოდექსი; 8. იენა; 9. თოლია; 10. ციტატა; 11. პეჟო; 13. კომუნიკე; 14. კროლი; 16. გაუდი; 18. კროკი; 20. დაუგავა; 21. სპეტაკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მასკი; 2. შაორი; 3. გალიერა; 4. ლეგო; 5. ყუმი; 5. სტატიკა; 9. კონდენსაცია; 10. ალარმისტი; 11. ლუსტრაცია; 14. ტოკაი; 16. ქაირო; 18. არაბიკა; 20. პარკეტი; 23. ალაო; 24. ცხუმი; 25. ეროტი; 26. ლაპი.

თარაზულად: 7. პანკრეასი; 8. მონუმენტი; 12. რეალი; 13. დუნია; 15. რადიო; 17. კომენტარი; 19. რვალი; 21. დასტა; 22. კიურე; 27. აკონკაგუა; 28. კომპლექტი.

ნიტა ლომიძემ ამერიკაში 50.000 დოლარიანი სტიპენცია მიიღო

მოცეკვავე ნიტა ლომიძემ, რომელმაც „შენ შეგიძლია ცეკვა“ მოიგო, ამერიკაში პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა.

ნიტა კალიფორნიაში კერძო სკოლა-აკადემიაში – აიდილვაილდის აკადემიაში სწავლობს. აკადემიის მიმღები საბჭოს გადაწყვეტილებით, ნიტას მიენიჭა პრესტიჟული სასწავლო სტიპენდია, რომელიც 50.000 დოლარს აღემატება.

აიდილვაილდის აკადემია წლებია საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით მსოფლიოს საუკეთესო სასწავლებელთა შორის მოწინავე პოზიციებს იკავებს.

აკადემიური ბრწყინვალებით უმაღლესი ა+ რეიტინგის მქონე აიდილვაილდის აკადემია, 2019 წელს აშშ-ის საუკეთესო არტ სკოლათა შორის კვლავ პირველ ადგილზეა. სკოლის დასრულების შემდგომ, მოწაფეები აბარებენ ისეთ წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, როგორებიცაა ჯულიარდი, სტენფორდი, ემერსონი...

პეტერბურგში მეფე ერეკლეს და მეფე გიორგი მეთორმეტის შვილების საფლავები აღმოაჩინეს



დეკანოზი ილია ჭიღლაძე საქართველოს ისტორიისა და კულტურისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს:

– ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა საქართველოს ისტორიისა და კულტურისათვის: პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრის წმიდა თეოდორეს ფეოდოროვსკის ტაძრის პირველ სართულზე აღმოჩენილ იქნა საბჭოთა დროს ცემენტით გადაფარული საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთა, კერძოდ, მეფე ერეკლეს და მეფე გიორგი მეთორმეტის შვილების, რძლების, შვილიშვილების 26 საფლავი, მათ შორის ცნობილი მკვლევრის და სწავლულის, ბატონიშვილ თეიმურაზ ბაგრატიონისა, მეფე გიორგი მეთორმეტის ძის საფლავი. მიმდინარეობს მეტნაკლებად დაზიანებული საფლავის ძეგლთა წარწერიანი ფილების რესტავრაცია. საბჭოთა დროს ეს ტაძარი კლუბის ფუნქციით გამოიყენებოდა და საფლავებიც ამიტომ გადაფარეს ახალი იატაკით. ზოგიერთ საფლავს, მათ შორის ბატონიშვილ თეიმურაზისას, გააჩნდა მეორე დაფაც: კედელზე მისაკრავი ლითონის ძვირფასი სხმული დაფები წარწერებით და გერბებით, 1930-იან წლებში, საფლავთა იატაკით დაფარვის დროს, ისინი გადატანილი იყო ლავრის ხარების ტაძარში და ზოგს შეცდომით იქ ეგონა მათი საფლავები. პირველ ფოტოკადრში სწორედ თეიმურაზ ბატონიშვილის ახლად გამოვლენილი საფლავია ქართული წარწერებით.

პ.ს. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ორი წევრი: დედოფალი დარეჯან დადიანი და მისი ვაჟი ვახტანგ-ალმასხან ბატონიშვილი, ერეკლე მეორის ძე, ლავრის სხვა ტაძარში, ხარების ეკლესიაში არიან დაკრძალულნი, იმპერატორ პეტრე მესამის ყოფილ სამარხში და მათი საფლავები და საფლავის დიდებული მონუმენტური ძეგლი დაუზიანებლად არის მოღწეული. 1930-იანი წლებიდან ხარების ტაძარშივეა გადატანილი წმ. თეოდორეს ტაძრიდან დავით და თეიმურაზ ბატონიშვილების საერთო, თეიმურაზის ცოლის ელენე ამილახვრის, მათი დის, სამეგრელოს დედოფალ ნინო ბაგრატიონის საფლავთა ლითონის ძვირფასი დაფები, სულ სამი. იმედია, წმ. თეოდორეს ტაძრის რესტავრაციის შემდეგ, ამ სამ დაფას თავის ადგილებზე დააბრუნებენ.

გიორგი კეკელიძე: „მოდის ძალიან, ძალიან მაგარი თაობა!“

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე აცხადებს, რომ ძალიან მაგარი თაობა მოდის:

– შეიძლება ეთანხმებოდე ან არ, მოგწონდეს ან ნაკლებ, მაგრამ იმ ახალგაზრდებს, ვინც დღეს ქუჩაში დგას – მოსყიდულებს, მონებს და უმსგავსოებს ეძახდე, ნიშნავს, რომ შენ თვითონ ტრიალებ ამ ეპითეტების ახლო-მახლო.

ახალგაზრდა დიდწილად მართალია და თუ მაინცდამაინც – ის არ უნდა გეთანხმებოდეს, უნდა შეცდეს, უნდა გადააჭარბოს – ეს არის ახალგაზრდად ყოფნის მთავარი ნიშანი. ცოდნამდე და თავისუფლებამდე მისასვლელი გარდაუვალი გზა.

კლასიკური აზრით, მე პოლიტიკა არ მიზიდავს – არ არის ეგ ჩემი საქმე და არც არასდროს იქნება – კინო მაინტერესებს და ლიტერატურა, ფოლკლორი და ბიბლიოთეკა – აი, ახლაც სოფლის ბიბლიოთეკების მოსაწყობად მივდივარ და იმედი მაქვს, განათლება იქნება, რაც გვიშველის, მაგრამ მაშინ, როცა თუნდაც ჩვენი მომავლის მცირე ნაწილი გამოვა და ის საშინელი ფრაზა უცებ მიედევნება: „ეჰ, რა თაობა მოდის!“

მე აუცილებლად და ხმამაღლა ვიტყვი: „მოდის ძალიან, ძალიან მაგარი თაობა!“

მიხეილ ზაქარიაშვილი: „გულგახეთქილი ბავშვები შევიფარე ჩემთან!“

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი 20 ივნისის ღამეს იხსენებს და გულგახეთქილი ბავშვების შეფარების ამბავს სოციალურ ქსელში ჰყვება:

– არ მინდოდა ამის დაწერა, მაგრამ მაინც დავწერ. ვფიქრობდი, არ იფიქროს ხალხმა, რომ გმირად წარმომიდგენია თავი! გულგახეთქილი ბავშვები შევიფარე ჩემთან, 15-მდე ბავშვი, მათ შორის ერთი გოგონა სახლში, რომლებსაც პოლიცია მოსდევდა გამხეცებული ვერაზე! 6 საათი იქნებოდა, უკვე ნათდებოდა, აივნიდან გადავიხედე და რომ გარბოდნენ, დავუძახე, ამოდით ჩემთან-მეთქი! არც სახელები ვიცი მათი და არც გვარები და, მით უმეტეს, რომელი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, ან რაში მაინტერესებდა? არც თვითონ იცნობდნენ ერთმანეთს და რადგან ყველა გამოუშვეს, ახლა ვამბობ, პარლამენტში შეჭრილებს არც ერთი არ გავდა! შეშინებულები მიყურებდნენ, ამანაც არ დაგვაჭერინოსო. გაუკვირდათ ბავშვებს, რომ საკუთარ სახლში ავიყვანე, წყალი დალიეს, საჭმელიც შევთავაზე, უარი მითხრეს, მადლობა გადამიხადეს და როცა პოლიციელები აღარ ჩანდნენ, თუმცა ვეუბნებოდი, რომ ცოტა ხნით დარჩენილიყვნენ, არ დარჩნენ მაინც!

ის ბავშვი რომ დაიჭირეს და პოლიცია აფურთხებდა სახეში, ამას რა გამოძიება უნდა. გადადექი გახარია, ხომ იცი, რომ მაინც არავინ შეგარჩენს ამას! ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ ჩემს შვილს აფურთხებდა პოლიციელი და ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა ამხელა კაცს თვალებიდან. შეიძლება დაჭერილ კაცს ასე ექცეოდეს პოლიცია?

ახლა მეტყვით, ნაციონალების დროსაც ასე ურტყამდნენო და მერე ვინ გითხრათ, რომ ეს არ გავაპროტესტე? ან ვინმემ შეარჩინა ეს ყველაფერი, თუ ვინმე შეარჩინა ეს მაშინდელ პოლიციელებს, დღევანდელი ხელისუფლება არის! ეს თუ შერჩა ნებისმიერ ხელისუფლებას, ყოველთვის მოვა ძალა, ვინც ამ სისასტიკეს გაიმეორებს!

უნდა დავამკვიდროთ ამ ქვეყნის ნორმალურმა, საღად მოაზროვნე ადამიანებმა სტანდარტი, რომ საკუთარ მოსახლეობას ასე არავინ მოექცეს. ჩვენ უნდა გვყავდეს პოლიცია ხალხის გვერდი მდგომი და არა

კალეიდოსკოპი

კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობაზე უნებართვო სამუშაოები მიმდინარეობს

თბილისის შუაგულში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობაზე უნებართვო სამუშაოები მიმდინარეობს.

ინფორმაცია „ტფილისის ჰამქარმა“ გაავრცელა:

– ტურგენევის 4-ში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ძეგლზე მიმდინარეობს უნებართვო სამუშაოები. არ არსებობს შეთანხმებული პროექტი. არ არის გაცემული მშენებლობის ნებართვა!

მიუხედავად ამისა, სამუშაოები დაწყებულია, ფასადიდან მოხსნილია ავთენტური დეტალები და მათ ნაცვლად დამონტაჟებულია პენოპლასტის პროფილები!

შენობის ნაწილი, სადაც მიმდინარეობს უკანონო სამუშაოები, ეკუთვნის ზაქარია ქუცნაშვილს, რომელსაც ადგილზე შევხვდით და განვუმარტეთ, რომ ასეთი ქმედება არის ძეგლის დაზიანება, რაც ისჯება კანონით. ასევე, საქმის კურსში ჩავაყენეთ თბილისის მუნიციპალური ინსპექცია. იმედი გვაქვს, რეაგირებას არ დააგვიანებთ.

აგრესიულმა ზღვის ლომმა მოცეკვავე გოგონა დაკბინა

ამერიკის კალიფორნიის შტატში აგრესიული ზღვის ლომი გოგონას თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. 13 წლის გოგონა მეგან პაგნინი მეგობრებთან ერთად პლაჟზე ისვენებდა, რა დროსაც ნაპირის მახლობლად მუხლებამდე წყალში შევიდა.

– მე უბრალოდ ვხტუნაობდი, ვმხიარულობდი და ვცეკვავდი, მეგობრები სასაცილო ფოტოსურათებს მიღებდნენ და ყველანი ვიცინოდით, – იხსენებს გოგონა. მოულოდნელად მის გვერდით ზღვის ლომი გამოჩნდა. ის პაგნინის თავს დაესხა და მარჯვენა ფეხზე უკბინა.

– მხოლოდ ის მახსოვს, თუ როგორ ვეცემოდი. როდესაც ცხოველმა პირი გამიშვა, სწრაფად გავიქეცი ნაპირისკენ, სადაც ჩემი მეგობრები ყვიროდნენ და ტიროდნენ, – განაცხადა გოგონამ. პაგნინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ცხოველი დაიჭირეს და ზღვის ცხოველების სპეციალურ ცენტრში მოათავსეს.

გოჩა კაპანაძე „მთვარის მოტაცებას“ დგამს

რეჟისორი გოჩა კაპანაძე სოხუმის თეატრში კონსტანტინე გამსახურდია „მთვარის მოტაცებას“ დგამს.

შემოქმედებით ჯგუფს უწყვეტი რეპეტიციები აქვს, რადგან პრემიერა 30 ივნისს არის დანიშნული. პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე, სოხუმის თეატრის დასს მანანა არჩვაძე-გამსახურდია ესტუმრა, რეპეტიციას დაესწრო და შემოქმედებით ჯგუფს წარმატებები უსურვა.

სპექტაკლი ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს ეძღვნება. სცენები, კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „მთვარის მოტაცებიდან“ თამაზ გოდერძიშვილის ინსცენირებით იდგმება.

სპექტაკლის მხატვარი ანა ნინუა, რეჟისორის თანაშემწე კი სვეტლანა გოგოხია. სპექტაკლში მონაწილეობენ ეკატერინე არჩაია, ბადრი ბეგალიშვილი, დათო ბერაძე, იზოლდა ბოკუჩავა, გიორგი გასვიანი, გია გოგიშვილი, ჯანო იზორია, ვერიკო კალანდია, ჯულიეტა პაკელიანი, მარინა სოლომონია, მერაბ ყოლბაია, მარიამ ყოლბაია, ნინო შავგულიძე, კახა შარაბიძე, ლელა შარაბიძე, სანათა ძაძამია, ნიკა წერედიანი, ნუგზარ წერედიანი, ედემ ხვიჩია.

გოჩა კაპანაძის მიერ დადგმული სპექტაკლის პრემიერა თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მთვრალი პილოტი ბუხარში შეძვრა და იქ თავდაყირა ექვსი საათი გაატარა

დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პილოტი ტომი ბრაუნლი ნიძლავზე ბუხარის საკვამურში შეძვრა და იქ თავდაყირა დაკიდებულმა ექვსი საათი გაატარა.

ინციდენტი კვირა დილით სომერსეტის საგრაფოში იოვილტონის სამეფო ფლოტის საავიაციო ბაზაზე მოხდა. 26 წლის ბრაუნლი დათვრა და გადაწყვიტა, გამოცდა გაევლო, რომელსაც ბაზაზე ყველა ახალწვეულს უფასო ალკოჰოლის სანაცვლოდ სთავაზობენ. წესების თანახმად, ის საკვამურის გავლით ერთი ბუხრიდან მეორეში უნდა გადამძვრალიყო.

სამხედრო მოსამსახურემ გზის ორი მესამედი გაიარა, თავით ქვევით ეშვებოდა მეორე ბუხარში, როდესაც საკვამურში გაიჭედა. მისმა კოლეგებმა დაუყოვნებლივ დახმარება გამოიძახეს. ექვსი საათის შემდეგ სამაშველო ჯგუფმა ბუხარი ნაწილობრივ დაშალა და ბრაუნლი გაათავისუფლა.

პილოტის ამჟამინდელი მდგომარეობა უცნობია. ასევე უცნობია მიიღებს თუ არა ის ამ ყოველივესთვის რაიმე სახის სასჯელს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

29 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.8687

ევრო — 3.2657

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6384

100 რუსული რუბლი — 4.969

ამინდის პროგნოზი 29 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

იუმორი

ქალიშვილი მამას ეუბნება:
– მამა, ვშიშობ, ცოლად არავინ მომიყვანს.
– მაგაზე არ ინერვიულო, შვილო, დედას გამოართმევ წამალს, მერე ვინმეს სასმელში ჩაუყრი და მოაჯადოებ.
– და დედას ასეთი წამალი აქვს?
– უნდა ჰქონდეს.
– რატომ გგონია მასე?
– რამდენი წელია ვუყურებ და მასზე დაქორწინების სხვა მიზეზს ვერ ვხედავ.

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:
– ძვირფასო, ჩვენი ბავშვები ჩემი შვილები არიან?
– რატომ მეკითხები?
– რაღაც მეტისმეტად ლამაზები და ჭკვიანები არიან.

•••

რუსს ეკითხებიან:
– სად მთავრდება თქვენი ქვეყნის ტერიტორია?
– იქ, სადაც კარგი გზები იწყება.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– იცი, რომ თურმე ერთი ჯემპრის მოსაქსოვად სამი ცხვარია საჭირო?
– მართლა, არ ვიცოდი, თუ ქსოვაც შეეძლოთ.

•••

გაცნობის გვერდზე ბიჭი გოგოს ეკითხება:
– შეგიძლია მითხრა, რა ზომის მკერდი გაქვს?
– ოჰ, არა. ეს ჩემი პატარა საიდუმლოა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბასილაშვილის პირველი მეტოქე უიმბლდონზე ცნობილია

ორშაბათს სტარტს აიღებს ყველაზე პრესტიჟული დიდი სლემის ტურნირი უიმბლდონი და ნიკოლოზ ბასილაშვილის პირველი მეტოქე უკვე ცნობილია. ბასილაშვილი პირველ მატჩში ბრიტანელ ჯეიმს ვორდს დაუპირისპირდება, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 205-ე პოზიციას იკავებს.

სავარაუდოდ, ნიკას გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა უიმბლდონზე ყველაფერი ხდება. ამჟამად ბასილაშვილი მსოფლიოს მე-16 ჩოგანია და ის საქართველოს ისტორიაში ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში ბასილაშვილი არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება და მან ზედიზედ 4 მატჩი წააგო.

მილანი ევროპის ლიგიდან მოკვეთეს

მილანი უეფამ ევროპის ლიგიდან მოკვეთა და ამის მიზეზი ფინანსური ფეირპლეი გახდა. მილანი, სავარაუდოდ, ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, თუმცა გამარჯვების დიდი შანსი არ აქვს.

მილანის ადგილს ევროპის ლიგაზე, სავარაუდოდ, ტორინო დაიკავებს, რომელმაც იტალიის ჩემპიონატი მე-7 პოზიციაზე დაასრულა.

სეზონის ბოლოს მილანი მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ დატოვა და მისი ადგილი მარკო ჯამპაოლომ დაიკავა.

მომავალ სეზონში გუნდის მთავარი მიზანი ისევ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა იქნება.

ბრაზილია კოპა ამერიკის ნახევარფინალში გავიდა

ბრაზილიამ კოპა ამერიკის მეოთხედფინალში პარაგვაი პენალტების სერიაში დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა.

მატჩის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ პარაგვაის ნაკრები კაცნაკლული იყო, ხოლო ბრაზილიელებს გოლის გატანის უამრავი შანსი ჰქონდათ. პენალტებში ბრაზილიელებმა 4:3 იმარჯვეს და გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი გაბი ჟესუსმა გაიტანა.

მიუხედავად ნახევარფინალში გასვლისა, ბრაზილიური პუბლიკა თავისი გუნდით ბოლომდე კმაყოფილი არ არის და მატჩის შემდეგ სტვენის ხმაც ისმოდა.

არსენალი მესუტ ოზილს ვერ ყიდის

ლონდონის არსენალს მესუტ ოზილის გაყიდვა სურს, რადგან გერმანელი ფეხბურთელი აღარ სჭირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოზილი ძალიან მაღალ ანაზღაურებას იღებს, ამიტომ არსენალს მისი თავიდან მოშორება უნდა.

ლონდონელებისთვის, სამწუხაროდ, ამის გაკეთება იოლი არ არის, რადგან ოზილის ყიდვა არავის სურს და ჯერჯერობით არსენალს ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით არავითარი შეთავაზება არ მიუღია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მოხუცმა ქალმა კობრა ნიჩბით მოკლა

ამერიკის პენსილვანიის შტატის ხანში შესულმა მცხოვრებმა ქალბატონმა მოკლა კობრა, რომელმა მისი სახლის შიდა ეზოში შეაღწია. შემთხვევის ამსახველი ვიდეო, ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

73 წლის კეტი კეჰოემ სამზარეულოს ფანჯრიდან გაიხედა, როდესაც ფრინველების ხმამაღალი ყღურტული გაიგონა. ამ დროს მან ეზოში კობრა შენიშნა. ქალმა ქვეწარმავალს რამდენიმე ფოტოსურათი გადაუღო, შემდეგ ნიჩაბი აიღო და გველს დასცხო.

– კარი გავაღე, შევიგინე, შემდეგ კი ვთქვი, „ეს ხომ კობრაა“. ამას მაშინვე მივხვდი, – განუცხადა ჟურნალისტებს კეჰოემ. ბუნების დაცვის სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ ხანში შესულმა ქალმა დაახლოებით 1,3 მეტრი სიგრძის ინდური კობრა მოკლა. ისინი ჯერჯერობით ვერ ამბობენ, თუ საიდან გაჩნდა ქალის სახლის ეზოში აღნიშნული ქვეწარმავალი. თუმცა ცნობილია, რომ მაისში პოლიციამ მეზობელი სახლიდან 20 შხამიანი გველის კონფისკაცია მოახდინა, რომელთაგან 12 კობრა იყო. სავარაუდოდ, ერთ-ერთმა ქვეწარმავალმა თავის დაღწევა შეძლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ქართველი კომიკოსი; 2. სპეციალური ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს; 3. ტყის კაცი ქართულ ფოლკლორში; 4. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 5. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 7. მძლავრი სტიქიური მოვლენა; 11. დაბალი, მოკლეფეხებიანი და გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 12. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 13. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 14. გულის ერთ-ერთი ნაწილი; 15. ამერიკული ჯიპი; 17. კვერცხწასმული და თონეში გამომცხვარი ტკბილი პური; 19. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 5. ახალშობილი ბატკნის ხუჭუჭბეწვიანი ტყავი; 6. თანამედროვე ქართველი კომპოზიტორი; 8. ფეხბურთის გუნდის მცველის ძველებური სახელწოდება; 9. ბაღჩეული ხილი; 10. აფრიკული ცხოველი; 11. ცხვრის, ხბოს, თხის ტყავისგან დამზადებული ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩასასხმელად; 13. სამთო წარმოებაში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება; 14. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 16. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 21. ორგანიზმის საპასუხო მოქმედება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ДОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ЖИЗН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

БЭИ ФУ ДИ ЖУАНЬ ЗАН + СУН СЭО

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/